F58/15562


# მაკავეელი
מכבי

**— რედაქცია —**

დროებითი მისამართი: ტფილისი, იერუსალიმის ქ., ღვინის შესახვევი № 7

**განცხადების ფასი**

ნონპარელი სტრიქონი ჩერვ. კურსით:

პირველ გვერდზე . . . . . . . . 50 კაპ.

მეოთხე გვერდზე . . . . . . . . 30 კაპ.

ხუთშაბათი, 20 მარტი 1924

14 ადარი [illegible]

ფასი 10 კაპ. ჩერვონეცით

№ 3 — ორკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური გაზეთი — № 3


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფურიმ

მთელი ებრაელი ერი დიდი ზეიმით დღესასწაულობს ამ დღეს. ჩვენ არ აღვნიშნავდით მას, რომ იგი ყოფილიყო სარწმუნოებრივი დღესასწაული და რაიმე კულტთან დაკავშირებული. მაგრამ ებრაელი ერის ერთ დიდ უპირატესობად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ იგი ცნობილია უაღრესად მორწმუნე ერად, მაინც მეტად დაშორებულია ის სარწმუნოებრივ სიმბოლოებს და ამასთან დაკავშირებულ დღესასწაულებს. რა თქმა უნდა, როგორც ყველა ერებს, ებრაელ ერსაც აქვს თავისი დღესასწაულები და მარხვანი, მაგრამ არც ერთი ამ დღესასწაულთა და მარხვათაგანი (გარდა „ქიფურისა") არ არის წარმოშობილი წმინდა სარწმუნოებრივ ნიადაგზე და არ არიან ისინი დაკავშირებულნი ამა თუ იმ წმინდანის დაბადებასა თუ სიკვდილთან. თვით ისეთ პიროვნებასთან, როგორიც იყო მოშე ებრაელი ერისათვის, არავითარი დღესასწაული არ არის დაკავშირებული. ებრაელთა მარხვას თუ დღესასწაულს რაღაც ერის ცხოვრებაში მოვლენასთან უნდა ჰქონდეს კავშირი, საერო მნიშვნელობისა უნდა იყოს იგი.

დღესასწაულთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფურიმს, ხალხი განსაკუთრებული აღტაცებით დღესასწაულობს მას. ჩვენ ძალიან ცოტა ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ დღესასწაულებს და მარხვებს, მაგრამ იმათ, რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა აქვთ ხალხის ცხოვრებაში, არ შეგვიძლიან გვერდი აუხვიოთ და არასფრით არ აღვნიშნოთ.

დღესასწაული ფურიმის ქარგაც მარტივია და ჩვეულებრივი: სპარსეთის მეფე არტაქსერქსის (ახაშვეროშ) დროს ([illegible] წ. წინეთ ქ. დ.) მის მთავარ მინისტრს ჰამანს განუზრახავს ებრაელი ერის ამოწყვეტა-განადგურება სპარსეთის სახელმწიფოში და საამისო ნიადაგიც მოუმზადებია, მაგრამ განზრახვა ვერ განუხორციელებია, მეფის მახლობლად მყოფ ებრაელ შთამომავლობის პართა ზედგავლენით და თავის დაგებულ მახეში თვითვე გაბმულა. რა თქმა უნდა ხალხის ფანტაზიასაც შეუმკვია ეს თავისებური ლეგენდარული ელფერით და აღუნიშნავს ეს მოვლენა ეროვნული თავდახსნისა მხიარული დღესასწაულით.

ამ მოვლენაში განსაკუთრებით ჩვენ ყურადღებას იქცევს ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ ჩვენ აქ ვხედავთ პირველ ჩანასახს იუდოფობისას, ებრაელთა სიძულვილს და ანტისემიტიზმს მთელი თავისი მიხაზულებით. შეიძლება ანტისემიტიზმის მამამთავრად აღიარებულ იქნას ჰამანი. მართალია ებრაელებს თავიანთ მშობლიურ მიწა-წყალზე ყოფნის დროსაც ბევრი ბრძოლა, მეზობელ ერების თავდასხმა და უბედურება განუცდიათ, მაგრამ ეს გალაშქრება მათზე არსებითად განირჩეოდა ჰამანის გალაშქრებისაგან. სამშობლოში მათ ებრძოდენ არა როგორც ებრაელებს, არამედ როგორც ერთი სახელმწიფო მეორე მეზობელ სახელმწიფოს, აქ კი მათ თავს ესხმიან როგორც „ებრაელებს" და მოყვანილი მოტივებიც დევნა-განადგურების გასამართლებლად პირდაპირ ანტისემიტურია: „უცხო ერია იგი, დასახლებული ჩვენ შორის, სახელმწიფოს მტერი და ჩვენთვის ურგები და აბა რა გასაშვები არის ის სახელმწიფოშიო", ასე ლაღადებს მთავარი მინისტრი ჰამანის მოხსენება მეფე არტაქსერქსისადმი ებრაელთა შესახებ. მაგრამ მორდეხაისა და ესთერის სახით მალე დაუმტკიცდა „ანტისემიტ მინისტრს" თავისი შეთხზული ჭორების სიყალბე და უსაფუძვლობა და თვით მოიმკო ის რაც დასთესა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს ერთი რამ ამ დღესასწაულის შესახებ. მართალია აქაც ვხედავთ ებრაელ ერს ხსნილს და გამარჯვებულს, მაგრამ ეს გამარჯვება დიდ დაფნის ტოტს ვერ ჰმატებს ებრაელი ერის მრავალი გამარჯვებისაგან დაწნულ გვირგვინს. ეს ისტორიული მოვლენა და გამარჯვება პირდაპირ ატარებს მთელ ბეჭედს დიასპორისას. ებრაელი ერის ძველ ისტორიაში, ორ ისტორიულ მომენტს ვხედავთ, რომელნიც ძალიან წააგავნან ერთი შეხედულებით ერთმანეთს: ფურიმი და ხანუქა (მაკაველთა დღესასწაული). ორთავეს უძევს სარჩულად სასოწარკვეთილებამდე მისული ერის ხსნა და დიდი განსაცდელისაგან თავის დაღწევა, მაგრამ გამარჯვების საშუალებანი არსებითად განსხვავდებიან ურთი-ერთისაგან. იმ დროს, როდესაც ხანუქის გამარჯვებაში ვხედავთ ერს თავის მიწა-წყალზე, მოზავებულ მტრების სიმრავლისაგან და უთანასწორო ბრძოლისაგან წელში მოლეულს, მაგრამ ამასთანავე ამაყს და თავისუფალს და ამიტომ, როდესაც იფეთქებს ხალხის რისხვა, მათ წინ უძღვით ერის არწივნი, გმირნი მაკაველნი, ხმლით ხელში და ზე აღმართული დროშით შეებრძოლებიან მტერს და ამარცხებენ სასტიკად. მაგრამ რას ვხედავთ აქ? მთელ უმთავრეს დამახასიათებელ ხაზებს დიასპორული ფსიქოლოგიისას: გასაჭირში ჩავარდნილი ერი, რომელსაც უპირობენ გაჟლეტას, ალგვას პირისა მიწისაგან, ის თვალცრემლიანი შეჰყურებს სხვა მხსნელებს და ქალის საშუალებით ცდილობს სულელი მეფის გულის მოლბობას და სიკოცხლის ჩუქებას. დიახ, აქაც გამარჯვებაა, მაგრამ გამარჯვება არა დიდად საპატიო და ამამაღლებელი.

მაგრამ დიდმნიშვნელოვანია იგი ჩვენთვის, როგორც პირველი მარცხი იუდოფობისა, პირველი ლახვარის ჩაცემა ანტისემიტიზმისა და ერთა შორის შუღლის ჩამოგდებისა და სისხლის ღვრისა.

თოთხმეტი ადარი უკვდავი და დაუვიწყარი დარჩება ებრაელი ერის გულში!

## მორდეხაი—ჰამანი

მორდეხაი, ჰამანი...

მოვა ფურიმი და წამოაყენებს ამ ორ ტიპს. მოკლედ და მკაფიოდ გვიმარტავს ამ ორი პიროვნების სხვადასხვაობას. ამ ორი პიროვნების პორტრეტი—ეს არის მთელი ჩვენი ერის ხანგრძლივი ორიათასწლიანი დიასპორაში ცხოვრება.

ჰამანი—განსახიერებაა უსამართლობის და სიძულვილის; მას სწყურია წვრილი ერების უმანკო სისხლი, უაღრესად თავმოყვარეა და სურს სხვის უბედურებით საკუთარი ბედნიერების შექმნა.

მორდეხაი—ჰამანის საწინააღმდეგო ტიპია. მისი დევიზია-სამართლიანობა. მას უყვარს თავის ჩაგრული ერი, [illegible]ველი ადამიანი და მსურვე[illegible]ბის საერთო ბედნი-

ორივენი ეკუთვნიან წვრილ ერს. ჰამანი—„ყამალეკის" შვილია (გადმოცემით), მორდეხაი კი ებრაელის. ორივენი შეხიზნულან სპარსეთის სამეფოში. შემთხვევით ჰამანი სპარსეთის პირველი მინისტრის ადგილს იკავებს. როგორ იყენებს იგი ამ თანამდებობას? მხოლოდ და მხოლოდ აღსასრულებლად თავის მხეცური სურვილებისა: შექმნა ისეთი რამე, რაც სამუდამო გახდა, მარად ყოველი ეპოქის დამახასიათებელი. ის იღუპება, მაგრამ მისი მავნე აზრები უცვლელნი რჩებიან. ჰამანი მამაა ანტისემიტების და მის მიერ შექმნილი ეს ანტისემიტობა-გრძელდება ათასწლობით. ის იზრახავს ებრაელი ერის მოსპობას. მართალია ის ამ უსამართლობის მსხვერპლი ხდება, მაგრამ სურვილი ასეთი აქვს მას...

მის ადგილს იკავებს მისი მოპირდაპირე-მორდეხაი. ეს ამყარებს ძმობას და სიყვარულს ყველა ერთა შორის, ამდიდრებს სახელმწიფოს თავის ნიჭით და ერთგულია თავის ერისაც

ასეთ კონტრასტებს წარმოადგენენ ჰამანი და მორდეხაი.

ჰამანის აზრები ჩვენ გვდევნის ორიათასი წლის ისტორიაში.

ანტისემიტ ჰამანს, რომელიც უდგება სახელმწიფოს სათავეში აღარ აინტერესებს სახელმწიფო, ერი და ხალხი. მას მიზნად აქვს დასახული მხოლოდ ებრაელი ერის განადგურება...

ასეთია ყოველი ეპოქის ჰამანი: ჰამანი რომის, ჰამანი ესპანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, პოლონეთის და ძველი რუსეთის.

დიახ, იცვლებოდა დრო, იცვლებოდენ ერები, სახელმწიფოები, მაგრამ ჰამანის გეგმა ებრაელებისადმი უცვლელი რჩებოდა.

იყო დრო და მრავალი „მორდეხაი" (ე. ი. ებრაელი) უდგებოდა რომელიმე სახელმწიფოს სათავეში. განა ისიც ერს ერზე წაჰკიდებდა? განა ჰქმნიდა რომელიმე წვრილ ერთათვის მჩაგვრელ კანონებს? არა! იგი ყოველთვის იყო მოსარჩლე წვრილი ერებისა. ეს მისი ფსიხოლოგიური და სულიერი მემკვიდრეობაა ძველი მორდეხაიდან. იგი მუდამ ცდილობდა იმ ხალხის და ერის აყვავებას, სადაც მას უხდებოდა სამსახური; იგი ნამდვილი მოსარჩლე იყო ყოველი ჩაგრულის.

ესპანეთის ისტორია ამას დაამოწმებს. იბნ-შაფრუტი ერთად ერთი მინისტრი იყო, რომელმაც ესპანეთი დიდ სახელმწიფოდ აქცია და სრული თავისუფლება მისცა იქ მცხოვრებ წვრილ ერებს. შემუელ ჰახიგიდი კასტილიის მინისტრი ულრმეს საყვარელ პიროვნებად გადაიქცა ყველა ერებისათვის. ისხაკ აბარაბანელი-პორტუგალიის მინისტრი—ეს იყო დაუშრეტელი წყარო სიყვარულის და ძმობა ერთობის.

ინგლისი მარად იამაყებს ბიკონსფილდით, იტალია-ლუცატოთი. სხვა და სხვა კუთხის ისრაელი მინისრებიც ამ გზით მიდიოდენ და არც ერთ მათგანს ჩირქი არ მოუცხია თავისი ერისთვის.

ებრაელის ერი ყველგან და ყოველთვის აყენებდა მოწინავე პიროვნებებს, რომლებიც შეადგენდენ კაცობრიობის მამოძრავებელ ღერძს პროგრესისაკენ წინმსვლელობაში. სპინოზა-მამა ფილოსოფიის, მარქსი-შემქმნელი სოციალისტური მოძღვრების, ჰეინე რაინდი პოეზიის, ბ,რგსონი, აინშტეინი მეცნიერების ჩარხის მესვეურნი-ყველა ესენი ებრაელთა შვილები არიან. განა ვისმე ან როდისმე თავიანთი ნიჭი და კალამი გამოუყენებიათ კაცთა სიმძულვარისათვის? ვის შეუძლია ეს დაამტკიცოს?..

ებრაელის ერის საუკეთესო შვილები ყოველთვის ამბობდენ, რომ ებრაელი ერის შველა და ხსნა საერთო კაცობრიობის ძმობა—სიყვარულის იდეალზეა დამოკიდებულიო: „უნდა დაიმტვრენ თოფები და ჯოხებად იქცენ, ხმლები და მძიმე იარაღები ბალახივით უნდა დაიფშხვნან, ერი ერს არ უნდა ავნებდეს და ერთად უნდა იცხოვრონ ძმობა სიყვარულობით".

ეს ისწავლა კარგმა მოწაფემ მორდეხაიმ თავისი დიდი მასწავლებლის, ძველი იეშაყიასგან და ამიტომაც ე' იდეალი მთელი ებრაელის ერისა „ფურიმი" არ გაუქმდება; რადგანაც ჰამანები ჯერ კიდევ მრავლად არიან, ამიტომ ჩვენ მას უქმობთ, როგორც გადმომცემს მორდეხაის იდეალებისას. ჩვენ არ გვწამს ფანატიზმი, ჩვენ გვწამს წმინდა იდეალი ისრაელის ერისა და ამ მოსაზრებით ჩვენ მას ვდღესასწაულობთ.

ეხლანდელი ფურიმი მით განირჩევა, რომ ჩვენ მას ვუქმობთ საბჭოთა ხელისუფლების დროს, როცა ჰამანებს და ანტისემიტებს ადგილი აღარ აქვთ და აღმოფხვრილნი არიან ისინი, ნახევარი გზა გავლილია და სჩანს ნიშნები ზემოხსენებული იდეალების განხორციელებისა და ამ იმედით ჩვენ ვეგებებით მომავალ ფურიმს.

მაგრამ ჩვენ ისიც არ გვავიწყდება, რომ მსოფლიოს სხვა ნაწილებში ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვებიან ჰამანის ჯიშის ადამიანები, რომლებიც ნადირის თვალით უცქერიან ჩვენ ერს,—და ამიტომ გამოვსთქვამ სურვილს, რომ უახლოეს მომავალში ებრაელის ერს მთლიან კაცობრიობასთან ერთად ედღესასწაულნოს აგრეთვე თავისი საუკეთესო იდეალების გამარჯვებაც.

**დავიდ ბააზოვი.**

## 14 ადარი

14 ადარი—ფურიმის დღესასწაული.

ფურიმი—სიხარულის ემბლემა.

საოცარი თვისებისაა ფურიმი; მოულოდნელად, უცაბედად—მხიარული ხდები.

არ შეშვენის სევდიანობა ამ დღეს; დღეს ზეიმია ერისა, ხალხოსნური.

ამ დღესასწაულში არ არის გამეფებული რაიმე კულტი, მას არა აქვს კავშირი სარწმუნოებრივ ტრადიციებთან. ფურიმი არის ეროვნული დღესასწაული, მაგრამ ის არ ატარებს მარტო ეროვნულ ელფერს. ფურიმის შინაარსში გამოსჭვივის კაცობრიობის საუკეთესო იდეალების გამარჯვებაც.

სხვა და სხვაა: დღესასწაული და სასწაული.

ფურიმი ორივეა, მაგრამ ამავე დროს ფურიმის სასწაული არ არის ბუნებრივი ხასიათისა, გასაოცარი; ფურიმი სადაა და მარტივი, მისი სასწაული ჩვეულებრივი, რომელიც მეორდება ათეულ საუკუნოების განმავლობაში მთელ მსოფლიოზე. ამ მხრივ სპარსეთი შეიძლება ჩაითვალოს წინამორბედად. აქ დატრიალდა ისეთი დრამა, რომლის მსგავსი ბევრი იყო ძველი რუსეთის არსებობის ისტორიაში.

ებრაელის ერი მიმოფანტული მთელ მსოფლიოზე ვერ ისვენებს ვერსად, შფოთავს, ღელავს, თავზე გადააქვს საშინელი უბედურებანი და გამოდის მოციქული ახალი იდეების, ძმობა-ერთობის ლოზუნგების; ის თავის ბუნებით მუდამ რევოლიუციონერია და ვერასოდეს ვერ ურიგდება თვითმპყრობელ ბატონებს. ამ „ბატონების" მიმართ ის უაღრესად ამაყია და ეს მისი დამახასიათებელი თვისებაა.

ჰამანი—ისტორიული პიროვნებაა. ძველად, სპარსეთის სამეფოში ის იყო პირველი წარჩინებულთაგანი და მის წინ იძრწოდა და კანკალობდა მთელი ხალხი. ისტორია მოგვითხრობს, რომ მხოლოდ ერთი მორდეხაი მას თაყვანს არ სცემდა, რაც ძალიან აბრაზებდა მას.

აღსანიშნავია ებრაული გამოთქმა: **„უმორდეხაი ლო იხრაყ ველო იშთახავე".**

ეს ხუთი სიტყვა ღირს მთელ პოემად. აქ მოსჩანს ერის პრობლემა.

მორდეხაი—ეს ტიპიური განსახიერებაა ებრაელის ერისა. მორდეხაის სახით ებრაელის ერს ეჯავრებოდა ეს თვითმპყრობელი თავადი და მის წინ მუხლს არ იდრეკდა. ჰამანმაც გადასწყვიტა მათი მოსპობა.

14 ადარი—ეს იყო ის დღე, როდესაც ებრაელთა მიჯისცემა საუკუნოდ უნდა მოდუნებულიყო სპარსეთში. ეს დღე იყო არჩევანი ჰამანის.

მაგრამ კვლავ გამოჩნდა ისრაელთა შორის გმირი ქალი, რომელმაც თავისი სახით დიდი მსხვერპლი გაიღო ერის ინტერესებისთვის და გადაარჩინა ის მოსალოდნელ კატასტროფას.

მისი სახელია—ესთერი.

წინედ მას ეძახდენ—ადასას.

თვალწინ მირბიან ისრაელის გმირი-ქალები: იაყელი, ივდითი, ესთერი...

14 ადარი—როდესაც მზადდებოდა საშინელი სამსხვერპლო აღმოსავლეთელ უკვდავ ერის ნაწილისთვის,—14 ადარი,—რომელიც უნდა გადაქცეულიყო ისრაელთათვის გლოვის დღედ—უცბად გადაიქცა დღესასწაულად!

მორდეხაიმ გაიმარჯვა. ის დაუთმობელი იყო თავის ბრძოლაში. სიკვდილსაც ეგებებოდა სიამაყით, მედიდურობით.

— „ფურიმი ჰამანის პანაშვიდია"— ასე იხუმრა ერთხელ გამოჩენილმა კრიტიკოსმა, მაგრამ ეს არ არის მარტო ჰამანის პანაშვიდი. 14 ადარი უკვდავი იქნება ებრაელი ერის მეხსიერებაში.

ლამაზი გადმოცემაა დარჩენილი: „ებრაელის ერში რომ დავიწყდენ ყველა წინასწარმეტყველები და დღესასწაულები—არასოდეს არ დავიწყდებიან ესთერი, მორდეხაი და მათთან დაკავშირებული ფურიმის დღესასწაული".

14 ადარი—ეს არ არის მარტო სპარსეთის ებრაელთა გამარჯვება; 14 ადარი—ეს არის მსოფლიო ებრაელთა გასალკდევებული ნებისყოფის მაჩვენებელი დღე.

14 ადარი ძვირფასია აგრეთვე მითაც, რომ ამ დღეს იეუდა მაკაველმა თავის სამშობლოში უკანასკნელად დაამარცხა სირიელთა. მთავარსარდალი ნიკანორი და აღმოფხვრა მათი თვითმპყრობელობა ქანაანის ქვეყნიდან.

საუკუნეთა გრიალში ბევრი რამ ისპო და შთაინთქა უფსკრულის სიღრმეში, მაგრამ ის, რაც ოდესღაც გაკეთებულა მთელი ხალხის, მთელი მასსის ურდეკი ნებისყოფით—იყო ყოველთვის უფსკრულის ზევით და მას არ მოელოდა არასოდეს დაღუპვა. ხალხის შექმნილი არც არასოდეს დაიღუპება.

ისტორია ამის თავდებია.

აგრეთვე არასოდეს არ დაიღუპება მსოფლიო ებრაელთა ისტორიაში უკვდავი რიცხვი:

14 ადარი.

გ. ბ.

## ჩემი მოწოდება

**საქართველოს ებრაელობისადმი**

ამხანაგებო, ძვირფასო ძმებო!

არას დროს ხალხი ისე არ მომკვდარა და არც მოკვდება, რომ თითო ოროლა გულშემატკივარი არ გააჩნდეს. არც ჩვენი ისრაელობა ისე არ დავცალიერებულვართ, რომ თითო ოროლა გულშემატკივარი არ გაგვაჩნდეს. მაგრამ ამ გულშემატკივარ ხალხს ჩვენ ვერ ვამჩნევთ, ვინაიდან ისინი ძლიერ ცოტანი არიან, მაგრამ [illegible] რომ იყვნენ მაინც ძნელია მათი დანახვა, უარაღოდ. არის ისეთი იარაღი, რომლის საშვალებითაც ადვილათ შეიძლება დაინახო მტერიც და მოყვარეც. ამ იარაღს ეწოდება „გაზეთი" და დღეს ჩვენც საქართველოს ისრაელებს გაგვიჩნდა ეს იარაღი გაზეთ „მაკაველის" სახით. მოხდა ის, რაც ადრე თუ გვიან უსათუოდ უნდა მომხდარიყო. მოხდა ის, რომ საქართველოს ისრაელობამ ისწავლა ლაპარაკი, ანუ დღეის შემდეგ საქართველოს ისრაელობას მიეცა საშვალება თქვას თავისი სიტყვა, ყოველ შემთხვევაში ჭირშიაც და ლხინშიაც. ამ სიტყვის საშვალება არის ჩვენი გაზეთი „მაკაველი", რომელიც ეხლახან გამოიცა ქ. ტფილისში, ერთი ჯგუფის მეთაურობით. დიახ, ჩვენც გვყოლია თურმე გულშემატკივარი ხალხი, რომელთაც უჩვენოდ იზრუნვეს გაზეთის გამოსაცემად, ან უკეთ რომ ვსთქვათ იზრუნვეს საქართველოს ისრაელების ბაგეთა ასახსნელად, ენათა ასამეტყველებლად, აზრთა და ნაფიქრალთა გამოსაჩენად და ქვეყნისათვის დასანახად და გასაგებად.

რასაკვირველია ამ საქმის მეთაურნი ჩვენგან ღირსნი არიან დიდის მადლობისა, მაგრამ ჩვენ გვმართებს სხვა მოვალეობაც. თუ ერთი ჯგუფი დღემდი მარტო ეწეოდა ამ დიდ საქმის მოწყობას, დღეს როცა საქმე უკვე მოწყობილია, დღეს ჩვენს მოვალეობას უნდა შეადგენდეს, მათი დახმარება და ამით მათი საქმისადმი წახალისება. ჩვენი გაზეთი ორიოდე პირის ხარჯით ვერ იარსებებს და მალე მოკვდება, და თუ ეს გაზეთი მოკვდა მისი სახით კვდება საქართველოს ისრაელის **ხმა, მისი აზრი და ნებისყოფა**. ჩვენი მოვალეობაა ჩვენ გაზეთს დავეხმაროთ, უზურნველვჰყოთ მატერიალურად, რათა განმტკიცდეს და განხანგრძლივდეს მისი არსებობა და უფრო გაიდიდეს და გაფართოვდეს მომავალში.

ნუ დავივიწყებთ, რომ ბევრი რამ ხდება საგულისხმო და საყურადღებო საქართველოს ისრაელთა ცხოვრებაში, რომელნიც თავის დროზედ მოითხოვენ გარკვევას და გაშუქებას, და როთ უნდა შევძლოთ და მოვახერხოთ ყოველივე მომენტების შეფასება, თუ ჩვენი საკუთარი გაზეთი არ გვექნება?

დიახ ჩვენი მოვალეობა, შევინახოთ ეს ერთად ერთი გაზეთი, გავიღოთ ჩვენი უხვი შეწირულება მისი მატერიალური უზრუნველყოფისათვის.

მე მწამს ყველა შეგნებული და წინდახედული ისრაელი გაიგებს ამ ჩემი მოწოდების დედა აზრს, და გამოეხმაურება ღირსეული წვლილის გაღებით.

ძმებო! ამხანაგებო! ჩვენი გაზეთის არსებობა ნაკარნახევია ჩვენი ცხოვრებისა და მისი არსებობაც აუცილებელია. დაუმტკიცოთ ყველას, რომ ჩვენც მზათა ვართ ვიბრძოლოთ კულტურისა და ცივილიზაციისათვის.

ახალგაზრდებო! მოწაფეებო! განსაკუთრებით თქვენზედ არის ჩემი იმედი.

თქვენ ხართ ჩვენი იმედი და მომავალიც, თქვენ გეკუთნით, მით უმეტეს ჩვენი გაზეთიც თქვენი საკუთრებაა, შეასმინეთ ყველას, მშობლებს ნათესავებს, მეკობარ ნაცნობებს, რომ აუცილებელია გაზეთ „მაკაველის" არსებობა, რომ მისი არსებობისათვის საჭიროა ხარჯები და ამ ხარჯების დასაფარავათ საჭიროა დახმარება მასის, ფართო საზოგადოების.

დეე ეს ჩემი მოწოდება, ჩასწვდეს ყველა შეგნებულ და წინდახედულ ისრაელის გულსა და სულს, რათა არ დარჩეს „ხმათ მღაღადებელისა უდაბნოსა შინა".

გაუმარჯოს საქართველოს მშრომელ ისრაელობას და მის საკუთარ უპარტიო ორგანოს გაზ. „მაკაველს".

**დავიდ აჯიაშვილი.**

4, მარტი 1924 წ.

ს. ბანძა.

## ჩვენი გასართობები

ძნელია და უადგილო საფურიმო ნომერში ამ თემაზე ლაპარაკი, ვინაიდან ფურიმი არის მხიარულების დღე და ამ დღეს ჩვენი უარყოფითი მხარეების და სამწუხარო ფაქტების გადმოლაგება იქნებოდა ერთგვარი ტრადიციის დარღვევა, მაგრამ იქ. სადაც ტრადიციის დარღვევით საქმე გაკეთდება, უმჯობესია იგი დაირღვეს, რადგან მის დარღვევას დასახული აქვს წმინდა მიზანი: ჩვენივე თანამოძმეების კეთილდღეობა.

ისტორიაში ჩვენი ერი ცნობილია, როგორც ზნეობრივად მაღალი, მწიგნობარი და როგორც მშრომელი ერი.

სხვა და სხვა საუკუნე და დიასპორა ერთნაირად ცვლის ერის სახეს. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას ჩვენ ერზე. აბა ვის შეუძლია შეადა-

როს ისტორიული ებრაელის ერი დღევანდელ ებრაელის ერს? ცხადია, არავის!

რასაკვირველია, არის მრავალი საერთო ხაზები. ამის უარყოფა შეუძლებელია. არის აგრეთვე ბევრი გამყოფი თვისებებიც

მაგრამ დიასპორის სხვა და სხვა ნაწილებში ერთნაირად არ არის დაცული ეს მსგავსებითი თვისებები. იქ, სადაც ჩვენმა ერმა შეითვისა დიადი კულტურული ნაპერწკალი თავისი წინაპრებისა, იქ ის სდგას სათანადო მორალურ და ზნეობრივ სიმაღლეზე. ხოლო იქ, სადაც ჩამორჩა კულტურულად,—მრავალი ეტაპი აქვს მას გასასვლელი, რომ ამაღლდეს სათანადო ზნეობრივ სისპეტაკემდე.

ჩვენდა სამწუხაროდ საქართველოს ებრაელობა ამ უკანასკნელთა წრეშია მოქცეული. წარსული ცხოვრების ბნელი კანონების მიხედვით, ის არასოდეს არ ჰფიქრობდა თავის კულტურულ ამაღლებაზე. ის ბედნიერად ჩასთვლიდა თავს, თუ ის მატერიალურად კარგად მოაწყობდა თავის საკუთარ ცხოვრებას. ამის გარეშე მას არავითარი საზრუნავი არა ჰქონია.

ჩარჩობა და ფანატიზმი—აი რა იყო სულიერი საზრდო და იდეალი მთელი საქართველოს ებრაელობისა!

ასეთ პირობებში, ცხადია, მისი გონება მეტად ვიწროდ იცქირებოდა. ის შემორკალული იყო მხოლოდ ამ ორი მისწრაფებით და აბა ამის შემდეგ რა გასაკვირელია, რომ ის ასე ჩამორჩა თავის ევროპიელ და ამერიკელ თანამოძმეებს?!

რა უნდა იყოს ჩვენი ხალხის გასართობად მოწყობილი, რომ იქ მის ნორჩ აზროვნებას ჰქონდეს გაქანება და იქ ის იკმაყოფილებდეს თავის სულიერ მოთხოვნილებებს?

ცხადია კლუბები, სამკითხველოები და თეატრები.

მაგრამ ლაპარაკი ებრაული თეატრის შექნაზე ჯერჯერობით უტოპიაა; არ არის დაარსებული არც ერთი სამკითხველო, სადაც ის შევიდოდეს, წაიკითხავდეს ჟურნალ გაზეთებს და გაეცნობოდეს მსოფლიო პოლიტიკურ ვითარებას და არა გვაქვს არც ერთი კლუბი ან უბრალო დარბაზი, სადაც იქნებოდა წაკითხული მოხსენებები და რეფერატები, რომელიც ასე ძლიერ ესაჭიროება ჩვენ ხალხს.

დიახ, ერთი შეხედვით ჩანს, რომ არაფერი არ გვქონია, მაგრამ ჩვენ კურთხეულ გეტტოში იმდენი „გასართობები" აღმოჩენილა, რომ ვერც ერთი კულტუროსანი ერი ვერ ინატრებდა ამდენს!..

მრავალი ხანი ჩემთვის შეადგენდა გამოუცნობ ამოცანას: სად მიდის ჩვენი ახალგაზდობა, სად ატარებს დროს და სად იძენს სულიერ საზრდოს? როგორც პროვინციელი ებრაელი ეს დიდხანს იყო ჩემთვის საიდუმლოებით მოცული, მაგრამ როცა შევიტყვე მისი ახსნა, ეს შეიქნა ჩემთვის მწარე სინამდვილედ. ჩვენი ხალხი, ჩვენი ახალგაზდობა, ჩვენი „საუკეთესო ინტელიგენცია" (თუ კი შეიძლება ასე ვუწოდოთ მას) ჰპოებს თავის სულიერ კმაყოფილებას, გასართობს... **ტრაქტირებში!!!**

ვისაც სურს დარწმუნდეს ამ მწარე სინამდვილეში, მან უნდა შემოიხედოს ამ „ცოდვილიან" გეტტოს კედლებში, დაათვალიეროს თუ სად იპოვნება ეს ჩვენი საზოგადოება და დაინახავს შემდეგ სურათს: ისინიც, ვინც ცოტაოდენი პოპულიარული გავლენით სარგებლობენ ხალხში, უჭირავთ მისი სადჭვე და მიაქანებენ ჰალლახმა იცის საით,—ისინიც, ვინც შეადგენენ ჩვენ მომავალ იმედს,—ისინიც, ვისაც მოუჭამიათ თავისი წუთისოფელი და ცალი ფეხი უდგიათ სამარეში—ერთი სიტყვით ყველანი, დიდი, პატარა—მოხუცი, ახალგაზრდა—ზიან მთელი საათობით (და ხანდახან მთელი დღეობითაც) ტრაქტირებში და აზარტიული ვნებით და გულმოდგინებით ისვრიან „ნარდის" კამათლებს, ათამაშებენ ზარებს, „დომინოს" კენჭებს და სხვა სათამაშოებს!

ბედის ირონიაა: ერთი შეხედვით მოგეჩვენებათ, რომ ძალიან მუყაითი და მშრომელები არიან! ვინც პირველად შეხედავს ამ სურათს ის შეცდება. მას მოეჩვენება, რომ მხოლოდ „მაძღრებისთვის" არსებობს ასეთი სათამაშოები, მაგრამ ჩვენდა სავალალოდ აქ შეხვდებით ორივე კლასის წარმომადგენლებს.

ასეთია მწარე სინამდვილე ჩვენი თანამოძმეებისა საქართველოს უმთავრეს ცენტრალურ პუნქტებში. ამ თემაზე შეიძლებოდა მრავალის თქმა, მაგრამ მრავალსიტყვიანობა ვერ უშველის საქმეს

მე მივმართავ ახალგაზრდობას, რომლებიც ცხოვრების ნექტარით ჯერ ისევ სავსებით არ დამტკბარან, რომლებთაც წინ უძღვით იმედით სავსე მომავალი, რომ დროზე მოიშორონ ეს შეჩვეული სენი, თორემ შუაკაცობაში ის საგრძნობი გახდება და მისგან გადაჩვევაც შეუძლებელი შეიქნება. ეს უაღრესად სამარცხვინო მოვლენაა

**საჭიროა, რომ ამიერიდან ყოველმა შეგნებულმა ახალგაზრდამ დაჰგმოს და სირცხვილად მიიჩნიოს იქ შესვლა.**

დროა, ერთხელ და სამუდამოდ უთხრათ გამოსასალმებელი სიტყვა ამ წყეულ ტრაქტირებს და გავაგზავნოთ ისინი „უვარგის დაწესებულებათა" პანთეონში..

ტრაქტირებს უნდა დაუპირდაპიროთ ებრაული თეატრები, კლუბები და ბიბლიოთეკები. ენერგიით აღსავსე ახალგაზრდობასთან ერთად—ჩვენ შევძლებთ მათ დაარსებასაც.

**შ—ლ.**

## ფურიმ

რომ ვკითხულობ ძველ ლეგენდებს,
როცა ვფურცლავ მე ძველ წიგნებს,
გული ღელავს და გონება
გზას ვერ ჰპოვებს, გზას ვერ იგნებს.

ვკითხულობ თუ ნეტავ რისთვის?
მსურს გავიგო ნეტავი რად
გვაწამებდნენ ჩვენ უწყალოდ,
თავს გვესხმოდნენ შეუპოვრად?

ეს ჰამანი, ახაშვეროშ,
ეს ანტიოხ ეპიფანე...
ღმერთო ჩემო, როგორ გავძელ,
ნეტავ როგორ გადვიტანე?!

დაგვიპირეს ბევრჯერ მოკვლა,
სამარეც ღრმად გაგვითხარეს,
მაგრამ შიგ თვით დაბინავდნენ,
იქ თითონვე „გაიხარეს"

ისე შთანთქა ჟამთა დენამ,
მათი კვალიც არსად არის;
ჩვენ კი ისევ ცოცხალი ვართ,
ჩვენ კვლავ გვინათს მზე ადარის!

**ნ. ელიაშვილი.**

ტფილისი
7 ადარი II

## ზეიმი.

როცა ზეიმი დგება ფურიმის,
რომელიც ატკბობს ძლიერ და მკვეთრ ერს—
ჩვენ მოვიგონებთ უკვდავ გმირ ქალებს
და იმათ რიცხვში დედოფალ ესთერს!

ჩვენ არ გვახარებს, რომ იქ სპარსეთში
მოკვდა ოდესღაც ერთი ჰამანი,
მის დამარცხება ეს სიმბოლოა:
ჩვენ ვერ გვაჯობებს ვერც სხვა მტარვალი!

გაჰქრება ჩაგვრა, ერებთა შუღლი
და ჩანასახი მტრობის და შურის—
და სიამაყით ჩვენ მოვიგონებთ
მაშინ ამ ზეიმს, ამ დიდ დღეს-ფურიმს!

**ფანია.**

6 ადარი II.

# ძველ ღმერთთან *)

(შრაიბერიდან)

დადგა დღესასწაულის საღამოც. მთელი ებრაელობა დიდის ზეიმით ეგებებოდენ უქმეს. დართულ დაკაზმულები მიედინებოდენ სალოცავში და რაბი იანკელიც სადღესასწაულოდ გამოწყობილი თეთრ სამოსელში მოემზადა სალოცავში წასასვლელად. რაბი იანკელმა სთხოვა შვილს, რომ წასულიყო მასთან ერთად სალოცავში უქმე დღის მილოცვა-კურთხევით. მოშე ამ წინადადებაზე მთლად გაფითრდა და მამის წინ ბოდიში მოიხადა, რომ ვერ შეასრულებდა მის თხოვნას, ვინაიდ ნ მგზავრობისაგან ძალიან დაღალულად გრძნობდა თავს.

უქმე ღამეს, რაბი იანკელმა, ჩვეულებისამებრ სალოცავიდან თან მოიყვანა რამდენიმე ღარიბი სტუმარი ებრაელები, რომ მასთან ერთად მის სუფრაზე ედღესასწაულნათ ფესახის ღამე. ყველანი შემოუსხდნენ სუფრას. ყველას სახე უბრწყინავდა გაორკეცებულის სიხარულით, რომ მათ სუფრაზედ იჯდა მათი შვილი მოშე ამდენი ხნის დაშორების შემდეგ. შეუდგნენ მხიარულად „აგადის" კითხვას და ბაასს ამ დღესასწაულთან დაკავშირებული ისტორიულ ამბების შესახებ ერთმა სტუმართაგანმა მიმართა ახალგაზრდა ექიმს, თუ რატომ არ მოვიდა ამ საღამოზე სალოცავში, რითაც დიდათ ასიამოვნებდა საზოგადოებას.

სანამ მოშე უპასუხებდა, მეორე სტუმარმა დაურთო: „ნასწავლი ხალხი უკადრისობენ ჩვენთან მოსვლას, არც სარწმუნოებასთან არიან კარგ განწყობილებაში და ნელ-ნელა ინთავისუფლებენ თავს მისგან: დღეს სალოცავში არ მოვა, ხვალ უქუდოდ დაჯდება სუფრაზედ და სხვა და სხვა...

მოშე ამ ბაასზე მთლად გაფითრდა და აღელვებული შეეკითხა: „რას ნიშნავს ეს „სხვა და სხვა?"

— იმას, რომ რჯულის გამოცვლამდინაც დიდი მანძილი აღარ აშორებს.

მოშე მთლად გაშრა ასეთ პასუხის გაგონებაზე, საშინელ სულიერ ბრძოლას გაიცდიდა და იტანჯებოდა უსაზღვროდ.

რაბი იანკელის ჭკვიან და მახვილ თვალებს არ გამორჩა ეს შეუმჩნეველი და საშინლად აღაშფოთა შვილის ასეთმა სულიერმა მდგომარეობამ, მაგრამ შეიკავა თავი და იძულებითი სიმშვიდით მიიყვანა ვახშამი სისრულემდე წესისამებრ.

სტუმრები როდესაც აპირებდნენ წასვლად შეაჩერა ისინი მოშემ და მათ შორის უფრო ნასწავლს შეეკითხა:

— რა აქვს სასჯელი თქვენის აზრით ისეთ ადამიანს, რომელიც გადადგამს ასეთ ნაბიჯს და გამოიცვლის დროებით რჯულს სხვა და სხვა მიზნების გამო?

— რა აქვს სასჯელი? ჩაქვავება!

მოშემ შეაქცია უცებ მათ ზურგი და სტუმრები გავიდნენ ოთახიდან.

მოხუცი რაბი იანკელი მივიდა შვილთან და უსიტყვოდ თითით ანიშნა, რომ გაჰყოლოდა თავის ოთახში. როდესაც ოთახში შევიდნენ მოხუცმა დინჯად მოხურა კარი, მიუახლოვდა შვილს, ჩააცქერდა თვალებში და შეეკითხა რაღაც უცნაური ხმით:

— მიპასუხე პირდაპირ, შენ ებრაელი ხარ?

მოშე [illegible] ქვითინი:

— არა, მამა, მე [illegible] ვარ. ამ სიტყვებზე [illegible] წატორტმინდა მოხუცი, შეჰყვირა საშინელის ხმით და უგულოდ დაეცა იატაკზე.

გათენდა დღესასწაული ფესახის დილა და უკვე მთელ დაბას მოდებული ჰქონდა ეს საზარელი ამბავი. მთელი ებრაელთა მოსახლეობა სტიროდა თავის მოხუც რაბის და წყევლა კრულვით იხსენიებდა მას ვინც გახდა ამის მიზეზი.

მთელი ხალხი შეიყარა თავიანთი მოხუცი რაბისათვის უკანასკნელი პატივის მისაძღვნელად. ამ დღეს აბარებდნენ მას სამარეს. ხალხმა დაადგინა, რომ მოშე არას გზით არ ყოფილიყო დაშვებული რაბი იანკელის დასამარების დროს და არ მიეცათ მისთვის ნება არავითარი მონაწილეობის მიღებისა, როგორც „მეშუმადისათვის" (გადარჯულებულისათვის).

რაბი იანკელს აუგეს ყოველივე წესი, მიაბარეს სამარეს და მისმა ურცხომა შვილმაც დაიწყო „კადიში". ამ დროს საიდღანაც მოულოდნელად გაჩნდა მამის სამარესთან თმა აბურძგნული და ცეცხლივათ თვალებ ანთებული მოშე. მის დანახვაზედ ხალხი მიეხვია ყვირილით და ლანძღვით, რომ არ მიჰკარებოდა სამარეს და არ შეებღალა თავისი უწმინდური ფეხებით იგი. მოშე ჰყვიროდა გაშმაგებით:

— მომისაჯეთ რაც მეკუთვნის, ჩამაქვავეთ, დამმარხეთ მამაჩემთან ერთად.

მაგრამ მის თხოვნას არავინ არ ასრულებდა. მათ მიაყარეს უკანასკნელი მუჭა მიწისა რაბი იანკელის სამარეს და იწყეს დაბრუნება სახლში.

ხალხი წამოვიდა და ახალგაზრდა ექიმი დარჩა მარტო მშობელი მამის სამარის წინაშე, რომლის მიზეზიც გახდა იგი. მან ჩაჰკიდა თავი და მწარამოიკვნესა:

— არც **ღმერთი,** არც მამა და აღარც **ხალხი!...**

**დ. მეკინულოვი.**

*) დასასრული იხ. „მაკაველის" № 2

# „მაკაველის" მათრახი

**საერთო წინასიტყვაობა.**

ცნობილია თქმულება, რომ „სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს და მათრახიც ხელში მომარჯვებული უნდა ეჭიროსო". ვინაიდან „მაკაველის" რედაქცია ფინანსების მხრივ ძალიან სუსტია და ცხენის ყიდვა მისთვის შეუძლებელია (მით უმეტეს შეკაზმულისა) და არც აპირობს გაქცევას, ამიტომ გადასწყვიტა, რომ თქმულების მეორე ნაწილი „მათრახი" მაინც შეიძინოს, ყოველ შემთხვევაში მომარჯვებული ჰქონდეს და ხანდახან გაუტყლაშუნოს რამდენიმეს, როდესაც საჭიროება მოითხოვს.

**საფურიმო ტკბილეულობა.**

**ჩვენ ხახმებს.**

სჯობს ანებოთ თავი „საქმეს",
ნუ ასწავლით გზა-კვალსა სხვას,
ბრმა მწყემსი მთლად გადასჩეხავს,
როგორც თვის თავს, ისე თვის ცხვარს.

# ალვარ როდრიგო

(გაგრძელება იხ. „მაკაველის" № 2)

VII.

**უეცარი რისხვა.**

— დონნა როზა! პატარა საქმე მაქვს თქვენთან—დაიწყო მღვდელმა.

— ოჰ მტარვალნო, არ გეყოთ სისხლი? წამიყვანეთ, მზადა ვარ!—მიუგო დონნა როზამ.

— ღვთის გულისათვის, დონნა როზა, ნუ ღელავთ და ნუ გეშინიათ ჩემი. საქმე სასწრაფოა და ყური მიგდეთ. თუმცა მე მეძახიან მამა ანტონიოს და შეხედულებით პორტუგალიელი მღვდელი ვარ, მაგრამ მეც შენსავით ისრაელი ვარ. შენი სამშობლო ჩემი სამშობლო მხარეა, შენი სარწმუნოება ჩემი სარწმუნოებაა და შენი ერი ჩემი ერია!!! მე მქვიან ისრაელურად ელხანანი და მომენდევი დაო, როგორც ნამდვილ ძმას.

— რას მიმზადებს ბედი? მიამბე სასწრაფოდ—შეეხვეწა დონნა როზა.

მამა ანტონიოს სურდა დაეწყო, მაგრამ ამ დროს მოვიდა ჰუსეინი, რომელმაც დააბრკოლა ლაპარაკის დაწყება.

— მადლობა ღმერთს ქალბატონო—სიხარულით წარმოსთქვა მაჰმადიანმა.

— ნუ შიშობთ, ეგეც ჩვენია—მიმართა დონნა როზამ მამა ანტონიოს და იმანაც დაიწყო აღელვებულად:

— მე ჯორი მოვკალი, ისე მოვაჭენებდი და მოვაჩქაროდი. მთელი ღამე ვიმგზავრე ჩქარა თავს უშველეთ, ინკვიზიციის ჯაშუშები მოვლენ აქ. სახლსაც გაღასწვავენ და თქვენც ყველას დაგატუსაღებენ!

დონნა როზა თითქოს ელოდა ასეთ ამბავს, არ შეშინებულა და წარბიც არ შეუხრავს, მხოლოდ შეეკითხა:—ნუ თუ რამე გაიგეს ან და შეიძლება ეჭვი გაქვთ?

— ქალბატონო, ხომ არ ხუმრობთ! ამაღამ აქ მოვლენ ინკვიზიტორები. ძვირფასი ნივთები სასწრაფოდ ერთად თან წაიღეთ. ისრაელური ნივთები თუ რამე გაქვთ ან დასწვით, ან გადამალეთ, ჩქარა, ღვთის გულისათვის! თავს უშველეთ, გაიპარეთ!

— დონ ალვარი?—უცბად შეეკითხა დონნა როზა.

— რა ვქნა, დრო მოითხოვს საჩქაროდ ყველაფერი გაცნობოთ და თქვენ გამბედაობა არ დაჰკარგოთ. თქვენი ქმარი დატუსაღებულია ინკვიზიციის მიერ!..

— ღმერთო, ღმერთო!—წამოიძახა დონნა როზამ და სკამს მიეყრდნო თავზარდაცემული და უგონო.

ჰუსეინს ეგონა ჩემს ქალბატონს გული წაუვიდაო და წამლები მიაშველა, მაგრამ არა! ის შესცდა, რადგან დონნა როზა იქვე წამოდგა ფეხზე და მამა ანტონიოს კითხვა მისცა:

— როგორ გაუგეს დონ ალვარს ვინაობა?

— ამ კვირაში თქვენსას რომ მონადირის ტანისამოსით კაცი იყო ღამის გასათევად, ის იყო ინკვიზიტორების ჯაშუში მაჰა ბრენარდო, რომელმაც ყველაფერი შეიტყო და დონ ალვარი ინკვიზიტორებს გადასცა.

— მამა ბრენარდო იყო ის მონადირე? ოჰ—ამოიკვნესა დონნა როზამ და განაგრძო—ეს საშინელი მხეცი, რომლის ჯაშუშობის ნეოხებით ჩემი მშობლები და ალბად ბიძაჩემიც გამოესალმენ წუთისოფელს? ეს მთელი ჩვენი ოჯახის გამანადგურებელი ვეღარ გაძღა და ახლა უკვე დონ ალვარიც დაატუსაღა? ოჰ ღმერთო ჩემო ალვარი... ჩემი ალვარიც ჩაუვარდა მამა ბრენარდოს!.. მე იმას ვიცნობ, ვიცნობ, კარგად ვიცნობ და ვაი მას, ეშინოდეს! აწი მე მიფრთხილდეს! ჩემ ახალგაზდა სიყმაწვილეში დამალული იყო წმინდა მიზანი შურისძიებისა და ახლა დადგა წამი, რომელსაც ვნატრობდი. მამაო ანტონიო! გაიარე, ისევ ლისაბონში წადი, არავინ შევამჩნიოს აქ ყოფნა, მადლობელი ვარ ერთგულობისთვის. დრო მოვა და გადაგიხდი. ახლა კი აღარ მცალია, გთხოვ მარტო დამტოვო და შენ ჩემი ჯავრი ნუ გექნება. ყველაფერი მოგვარდება, ნუ გეშინია, ჩემი ქმარი განთავისუფლდება! მართალია უეცარი რისხვა დამატყდა თავს, მაგრამ იმასაც დაატყდება თავს ეს უეცარი რისხვა და ვაი მას, ეშინოდეს!.. შენ კი მამაო ანტონიო, ერთგულო ძმაო დამტოვე და წადი... წადი!

— ქალბატონო, ღვთის გულისათვის, რას ეპირებით?

— კმარა ლაპარაკი, წაბრძანდით მამაო ანტონიო!—ეს ისეთი კილოთი იყო ნათქვამი, რომ მის წინაშე ქედი მოიხარა მამა ანტონიომ დ იძულებული გახდა დონნა როზას ბრძანებას დაჰმორჩილებოდა, მხოლოდ წასვლისას კი დაიძახა: „ჩვენი შთამომავლობის ღმერთი იყოს შენი დამხმარე, ფრთხილად დაო" და ამის შემდეგ აღარც მოუხედნია...

კვლავ შემზარი ღამის ჩრდილები. შეშინდდა. დონნა როზა და ჰუსეინი უსიტყვოდ შებრუნდნენ სახლში. დონნა როზამ ამოაწყო მაგიდებიდან სხვა და სხვა ქაღალდები და წიგნები, მისცა ისინი ცეცხლში და იმათი დაწვის შემდეგ მიიხმო ჰუსეინი საკუთარ ოთახში, საცა მას ელაპარაკა დიდხანს. მას შემდეგ გამოვიდა, კუთხეში მუხლი მოიპყრო და მაღლა ხელების აწევით წარმოსთქვა:

— ღმერთო, ღმერთო! იმ მტარვალებმა, იმ საშინელმა მონადირეებმა აღარც ალვარი დაინდეს და ახლა ჩემი ბრალი არაა. შენ იყავ ჩემი შემწე!..

ამის შემდეგ ის წამოდგა როგორც ნამდვილი ვაჟკაცი დამშვიდებული და კმაყოფილი სახით და მეორე ოთახში გავიდა. ჰუსეინმა თვალი გააყოლა და თავისთვის წარმოსთქვა:

— საკვირველია, ასეთ პატარა ცხვარში ლომის გრძნობამ როგორ გაიღვიძა!

გარედ უკვე შესამჩნევად დაღამებულიყო.

VIII.

**არწივის ბუდეში.**

გათენებას ცოტა უკლდა, როცა ქალაქ №-ში დონ ალვარ როდრიგოს სასახლეს მოუახლოვდა მამა ბრენარდოს მეთაურობით ორმოცდაათი შეიარაღებული ჯაშუში. მამა ბრენარდო პირველი მივიდა კარებთან და დააკაკუნა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. განაგრძობდა კაკუნს, მაგრამ ხმა არსაიდან იყო. შემდეგ დაიძახა:

— გიბრძანებთ, გააღოთ!

რამდენიმე წამი დაჰკარგეს ლოდინში, მაგრამ ირგვლივ გამეფებულიყო სამარისებური სიჩუმე და არავინ იღებდა ხმას.

— მაგრად სძინავთ—სთქვა ერთმა ჯაშუშმა.

— შეამტვრიეთ—ბრძანა მამა ბრენარდომ.

ბრძანება აასრულეს. კარები შეამტვრიეს. მამა ბრენარდო შეუძღვა ჯაშუშებს სახლში, განვლეს რამოდენიმე ოთახი, მაგრამ ყველა ცარიელი იყო, არავინ არსადა სჩანდა, თუმცა ყველა ოთახები განათებული იყო. მამა ბრენარდოს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა.

— ეს რა უბედურებაა, გაჰქრენ თუ დაიხოცენ? სად წავიდნენ? გაიარეთ ბაღისკენ და მოსძებნეთ!—უბრძანა მამა ბრენარდომ რამოდენიმე ჯაშუშებს, რომლებიც იქვე გამართენ ბრძანების შესასრულებლად. ნახევარ საათში ისინი დაბრუნდენ და მოიტანეს შემდეგი პასუხი:

— მთელი არემარე მიმკვდარებულ სამარესა ჰგავს, ფეხის ნაკვალევიც კი არსადა სჩანს.

მაშინ მამა ბრენარდომ გაჰყო თავისი ჯაშუშები რამოდენიმე ნაწილად და ყველას საკუთარი ოთახი მიუჩინა სამოქმედოთ:

— გასჩხრიკეთ, გასძებნეთ, ყველაფერი გადმოალაგეთ, დაამტვრიეთ და საეჭვო თუ რამე იპოვნოთ მე მომიტანეთ!

თვითონ კი გაიყოლა რამდენიმე ჯაშუში და წავიდა იმ ფარულ ოთახისაკენ, სადაც ამ ორი დღის წინედ, დონ ალვარ როდრიგო დროს ატარებდა თავის თანამოძმეებთან. ეს ოთახი მისთვის ნაცნობი იყო, რადგანაც ამ ორი დღის წინედ, როცა მან აქ ათია ღამე ყველაფერი დაზვერა და გაიგო. კარები ღია დახვდა. დასჩხრიკა, დასძებნა, დაანგრია იქაუროება, მაგრამ ვერაფერი ნახა საეჭვო სხვა ჯაშუშებიც მალე მივიდენ „ცარიელი ხელით" და შეუერთდენ თავიანთ მეთაურს.

— საოცარია!—სთქვა მამა ბრენარდომ—სად ეშმაკებში გაიპარენ ამის პატრონები? აქ მათ წინდაწინ შეუტყიათ ჩვენი განზრახვა და მოუსწრიათ დამალვა. აქ უსათუოდ ღალატია! ვიღამაც ჩვენგანმა შეატყობინათ. მაგრამ ვინ იყო ის საზიზღარი? ინკვიზიციის წყევლა და შეჩვენება მას! აუტოდაფე მოღალატეს? აჰ ვიცი, ვიცი ვინც იყო, მაგრამ ახლა დრო არ არის. ყმაწვილებო! რადგან ვერაფერი ნახეთ საეჭვო, ძვირფასი და საუკეთესო ნივთები გაზიდეთ გარედ, რომ ჩვენთვის წავიღოთ და შემდეგ სახლი ცეცხლის ალში გახვიეთ!

ყველაფერი გაზიდეს, მხოლოდ რაც მძიმე ნივთები იყო სახლშივე დალეწეს, დაამტვრიეს და შემდეგ სახლს ცეცხლი წაუკიდეს. ვიდრე მზე კარგად აღმობრწყინდებოდა მძლავრი არწივის ბუდე—დონ ალვარ როდრიგოს სასახლე მტვრად და ფერფლად იყო გადაქცეული.

როცა მამა ბრენარდო უკან ბრუნდებოდა, გზაში, განაპირა უბნიდან როგორც შორეული ეხო, მოისმა:

— მამა ბრენარ-დო! გე...ში...ნო..დეს!

— შეიპყარით ეგ თავხედი! — გასცა ბრძანება, მაგრამ თუმცა თენდებოდა მთელ იმ არემარეში ვერავინ ნახეს და იძულებული შეიქნენ „ცარიელი" გაბრუნებულიყვნენ ლისაბონში.

ასეთი მოულოდნელი შემთხვევით მეტად აღელდა მამა ბრენარდო, ვერ ისვენებდა მთელი გზის მანძილზე, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა, რომ მამა ანტონიოზე აპირობდა ახლა ჯავრის ამოყრას.

IX.

**ახალგაზრდა სტუმარი.**

პორტუგალიის ინკვიზიციის წინამძღვარი და დომინიკელების მღვდელმთავარი მამა იოანო იჯდა თავის სამწერლო ოთახში და ჯავრიანი კედელს შესცქეროდა.

— არა!—წამოდგა მამა იოანო—არ შეიძლება ყოველი ამის გადატანა! მთელ პორტუგალიას ხომ ვერ ამოვაყოფინებთ თავს ჩვენს სოროებში? გაიხედეთ აბა, ნუ თუ ყველა ეს წყეულები არიან და ისრაელის სარწმუნოებას აღიარებენ ფარულად? დღეს დონ ალვარი, იმაზე წინედაც გვქონდა ეჭვი, მაგრამ მამა ანტონიოზე ვინ იფიქრებდა? თუმცა ის ახლა უკვე ზის ჩვენს ციხეში და მისი განკითხვის ჟამიც მოახლოებულია, თუმცა ის ახლა მწარედ შეინანიებს თავის ცოდვებს,მაგრამ...—აქ შეჩერდა მამა იოანო და ფიქრების ზღვაში გაერთო—ეს შეუძლებელია, მამა ბრენარდო უსათუოდ სტყუის, თორემ მამა ანტონიო და ისრაელი?.. შეიძლება სტყუის მამა ბრენარდო, მაგრამ მხედველობაში მისაღებია, სად გადიკარგა ის იმ ორ დღეს, მე კარების მოსახურავად გავაგზავნე და ის უკან აღარ დაბრუნებულა. მამა ბრენარდო ამბობს, რომ მას გზაში შეხვდა მამა ანტონიო. არა, მე ვცდები, მამა ბრენარდო მართალია, ესპანელი არასოდეს არ ცდება. ოჰ, ოჰ, ოჰ... თუ იმ შეჩვენებულს და ურწმუნო მამა ანტონიოს! ღალატისათვის, ურწმუნობისათვის—აუტოდა-ფე საშინელი!

აქ ისეთი მაგრად დაჰკრა მაგიდას ხელი, რომ ამ დროს კარებში შემოსულმა ახალგაზრდა ყმაწვილმა უკან დაიხია.

— ყოვლად მწყალობელო მამაო იოანო! გამიკითხე და შემიბრალე. მიშველე ჩემი მდგომარეობიდან, რომ აღარ წაწყდეს ჩემი სული. არ ესაჭიროებ ფულს, ვსაჭიროებ სულიერ შველას და მიშველე!

ამ სიტყვებით ახალგაზრდა ყმაწვილმა წინ წაიწია და მამა იოანოს კალთებში ჩაუვარდა. მამა იოანო საერთოდ შეუპოვარი იყო ურწმუნოთა მიმართ, მხოლოდ ამავე დროს ის იყო შემბრალე.

— რა იყო შვილო, რა დაგმართია, მოჰყევი, მაგრამ ჯერ მითხარი, ვინა ხარ და რა გქვია?

— მე ვარ თქვენ მიერ შეპყრობილი დონ ალვარ როდრიგოს მსახური და მეძახიან ჰუსეინს.

მამა იოანომ გადაშალა ერთი [illegible] ლი წიგნი, სადაც დონ ალვარის ოჯახის შემადგენლობაში ნახა ამის სახელიც. იოანოს ღიმილი მოუვიდა, რადგან ის ახლა უკვე ნამდვილს შეიტყობდა, თუ ვინ გააფრთხილა ესენი წინდაწინ.

— განაგრძე!

— მე გახლავართ [illegible] მაჰმადიანი. მე ვიცოდ[illegible] ნო, რომ ვცდებოდ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ჩვენ მოინტელიგენტეებს.

„ქერქი“ ძაან ძვირფასი გაქვთ
და თავები მეტად „ქტი“,
ნუ თუ ქვეყნად ვერა ჰპოვეთ
ვერასფერი ქერქის მეტი?

### ორ-სამ ისრაელ ასიმილიატორებს.

„ლაშქარი“ შემოგეფანტათ
მარტო რჩით როგორც ტუზები,
აწ ქუჩებში დაზუზუნობთ
ვით შემოდგომის ბუზები.

### ჩვენ ერთ მუშ· ვექილ-ექიმებს.

გისურვებდით ბევრს ფულებსა
ბევრ „კლიენტებს“ და „პრაქტიკას“,
მაგრამ თანვე ჩვენი ხალხის
ჭირ-ვარამის გრამატიკას.

### მეცნიერული გამოკვლევა.

ბოტანიკებს გამოუკვლევათ, რომ მორდეხაის დიდი შეცდომა დაუშვია მით, რომ ისეთი დიდი ანტისემიტი როგორც ჰამანი ხეზედ დაუკიდნია. როგორც გამოირკვა, ეს ხე მას შემდეგ ძალიან განაყოფიერებულია და დაუსხავს ბევრი ანტისემიტები, რომელნიც ასე მრავალნი არიან ყველა ეპოქაში.

### კიდევ მეცნიერული გამოკვლევა.

ჩვენ სასულიერო „მეცნიერებს“ გამოუკვლევიათ, რომ იტალიაში ეტნის ამოხეთქა, იაპონიის მიწის ძვრა, სულ ჩვენი ხალხის ცოდოების ბრალიაო და თუ მალე არ მოინანიეს, აქაც არ ასცდებათო. მხოლოდ ჯერ იმის შესახებ არა უთქვამთ რა, თვით ეს წმინდანები გადარჩებიან თუ შიგ მოჰყვებიან.

კოც.

## პალესტინაში (იერუსალიმში) გარდაიცვალა ცნობილი მწერალი, ფილოლოგი და საზოგადო მოღვაწე ელიეზერ ბენ-იეუდა (ე. პერელმანი).

მოკვდა ბენ-იეუდა!

მოკვდა პირველი მერცხალი ებრაელი ერის გაზაფხულისა.

მოკვდა პირველი წინასწარმეტყველი ებრაული ენის აღდგენისა, ებრაელი ერის აღორძინებისა და მისი ეროვნული გათვითცნობიერებისა.

აქ, ჩვენში შეიძლება ბევრმა არ იცოდეს ვინ იყო ბენ-იეუდა, მაგრამ ის, ვინც იცნობს ებრაულ ენას, ვინც იცის ებრაელი ერის ისტორია მეცხრამეტე საუკუნის დასასრულში და მეოცე საუკუნის დასაწყისში, არ შეიძლება არ იცოდეს ის პირველი პიონერი, ის თავგანწირული მებრძოლი თავისი ერის კეთილდღეობისათვის, რომელიც იწოდებდა ბენ-იეუდას სახელით.

მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში, როდესაც ჯერ კიდევ ებრაელთა ინტელიგენცია რუსეთში ჯვარედინ გზაზე იდგა, ვერ ეპოვა გარკვეული გზა, ჯერ არ დაწყებულიყო ოთხმოციანი წლების „პოგრომების პერიოდი“ და ასიმილიაციაში ხედავდა „ებრაელთა საკითხის“ ახსნას, მის ბურუსით მოცულ ცაზე გაიელვა ბენ იეუდას სახელმა. მან სმოლენსკის „ჰაშახარში“ (ცისკარი) 1879 წ. მოათავსა წერილი სათაურით: „საყურადღებო საკითხი“, რომელიც სულ სხვანაირად აყენებდა საკითხს ებრაელი ერის მომავლის შესახებ და სხვა გზით უდგებოდა მის ახსნას. მან მოჰყვა უფრო ცხარე და დიდის ტემპერამენტით დაწერილი წერილი: „ჯერ კიდევ ჰკუაზე ვერ მოველით“, სადაც ამტკიცებდა, რომ ებრაელთა საკითხი არ გადაიჭრება მისი ასიმილიაცით და ეს არის მთელი უტოპია, არამედ იმითი, რომ გათვითცნობიერდეს ერი და აღდგენილ იქმნას მისი ეროვნული არსებობისთვის აუცილებელი ატრიბუტები. იმ დღიდან დაიწყო ბენ იეუდამ თავისი ერის სამსახური თავგანწირულად, გადასახლდა პალესტინაში და როგორც თეორიულად ისე პრაქტიკულად ანხორციელებდა თვის მიზნებს. მთელი ორმოცი წლის განმავლობაში იდგა სადარაჯოზე და იწვოდა თავისი ერის სიყვარულის კოცონზე. მან პირველმა მისცა მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ებრაული ენა გარდაქცეულიყო დედა-ენად, სალაპარაკო ენად ქუჩასა და სახლში. თვის მეუღლესთან ერთად (მწერალი ქალი ხემდა ბენ-იეუდა) აკეთებდნენ ამ დიად საქმეს. ბენ-იუდა იერუსალიმში რედაქტორობდა მრავალ გაზეთებს და ჟურნალებს, ეწეოდა დაუღალავ შრომას და ბრძოლას დასახული მიზნების მისაღწევად, მაგრამ უფრო დიდი და უკვდავი სახელი მოიხვეჭა მან ებრაული ენის აღდგენასა და განვითარებაში. მან კარგად იცოდა რომ, თუ ებრაული ენა უნდა გარდაქცეულიყო სალაპარაკო ენად, აუცილებელი იყო მისი გამდიდრება ახალი ტერმინებით და კილო-კავებით, და მისიის შესრულებას შეუდგა მთელი თავისი ძალღონით და დიდი ერუდიციით.

დიდმა მცოდნემ ებრაული ძველი და ახალი მწერლობისამ, აღჭურვილმა ევროპიული განათლებით და ენათმეცნიერებით, შეუდგა ამ დიად საქმეს და მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ჰქექავდა ძველ და დაობებულ წიგნებს, ხელთნაწერებს ყველა დროისა და ეპოქისას, ეძებდა მარგალიტებს ებრაული ენისას და აგროვებდა თავის სალაროში. გარდა სხვა და სხვა პუბლიცისტური და ლიტერატურული შრომებისა და ჯიბის ლექსიკონებისა, ბენ იეუდას დაუღალავი შრომის ნაყოფია მისი გიგანტიური შრომა „ებრაული დიდი ლექსიკონი“ 13 ტომად, რომელზედაც 20 წელიწადი იშრომა (თავისი მეუღლის დახმარებით) და პირდაპირ ამახვერპლა თავი მთელი ამ სიტყვის მნიშვნელობით. ბევრჯერ უამბნიათ ხოლმე მნახველებს, თუ ბენ იეუდა სუსტი, დასნეულებული, როგორ იწვა ლოგინში და გარშემო ეწყო აუარებელი ძველი წიგნები და ფოლიანტები, ფურცლავდა მათ და როგორც ფუტკარი აგროვებდა თაფლს თავისი სკის გასავსებად. იგი ასრულებდა თავის მისიას, ემსახურებოდა თავის დანიშნულებას თავისი ერის საბედნიეროდ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. როგორც გავიგეთ მისი ხსოვნის აღსანიშნავად ერთ საუკეთესო ქუჩისთვის იერუსალიმში მისი სახელი უწოდებიათ, მაგრამ მან უფრო უკვდავი ძეგლი აუგო თავის თავს თავისი უკვდავი ფილოლოგიური შრომებით ებრაული ენის შესახებ და თავისი „დიდი ლექსიკონით“, რომელსაც არასოდეს არ დაივიწყებს ებრაელი ერი.

მშვიდობით ძვირფასო მწერალო!

საუკუნო იქნება შენი ხსენება!

ნ. ე

### მოგონება 14 ადარის.

როცა გაავსებს სისხლის ხაზებს შავი რვეული
და ნარ-ეკალი სუსხიანი ჩემ გზებს ედება —
შეიკუმშება ყვავილების ნორჩი სხეული
და მკერდში ნექტარს გადმოსწვეთავს ტკბილ იმედებად.

ცრემლის ნაკადი რომ ჩამოდის მძიმე ღვარებად
ვერსად შეხვდებით ოკეანეს მის შესადარისს—
მაგრამ არ მაკრთობს, არ მაშინებს გადაგვარება,
როცა იელვებს მოგონება თოთხმეტ ადარის.

როცა მტარვალი გაიზარდა ათიათასად
და თაყვანს სცემდა მთელი ხალხი კრძალვით, რიგებად—
გამოანათებს წყვდიადიდან მაშინ ადასა
და მორდეხაი... თაყვანს არ სცემს, არ იდრიკება!

„არ შემიძლია მე მოთმენა კერპის, ჯიუტის,
გამოსავალი წყეულთათვის ნეტავ სად არის?“
ბრაზით გაჰკივის და დიდ მტარვალს გული მიუდის
და კენჭი ჰყარა... შერჩა რიცხვი თოთხმეტ ადარის.

და ბრძანებაა: „ამოძრავდეს ყველა ენები,
მთელ სამეფოში ეს ამბავი მწრაფლად იწეროს,
აღარ აცოცხლონ, ამოხოცონ ისრაელები
ამ მომავალ დღეს—თოთხმეტ ადარს—საბედისწეროს“...

მძიმე ლოდინი. მომავალი ტანჯვით ნაფერი
გულის ჩოჩქოლი უცნაური, მწუხრი ენების.
„უნდა დასრულდეს ერთის დაკვრით აქ ყველაფერი,
რომ არ ეღირსოთ სიტკბოება კვლავ გათენების“...

წარსდგა ესთერი მძლავრ მეფესთან ვით წამებული.
ისრაელი კი მთელ სპარსეთში არსად იქება,
სასაკლაოზე როგორც ცხვარი გამზადებული
ქედს არ ახრის, აქვს იმედი, არ იდრიკება!

. . . . . . . . . . . . . . . . . . .

როცა გაავსებს სისხლის ხაზებს შავი რვეული
და ნარ-ეკალი სუსხიანი ჩემ გზებს ედება—
შეიკუმშება ყვავილების ნორჩი სხეული
და მკერდში ნექტარს გადმოსწვეთავს ტკბილ იმედებად.

გადატრიალდა ყოველივე... და ეს დღე რისხვის
იქცა ზეიმად და ლხენის დღედ—დიდის, პატარის.
ათასი წლები საზღვარია დიადი რიცხვის,
რომელიც დაგვრჩა მოგონებად თოთხმეტ ადარის.

გერცელ ბააზოვი.

5 ადარი П.
ქ. ტფილისი.

## „მაკაბელის“ გამოძახილი

### გაზ. „მაკაბელის“ სარედაქციო კოლეგიას.

ამხანაგებო! გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი სალამი და სიხარული გაზეთ „მაკაბელის“ გამოცემით გამოწვეული.

გაზ. „მაკაბელის“ გამოცემა არის ხორცშესხმა და განსახიერება იმ მრავალ ფიქრებისა და იდეალებისა, რომელსაც ყველა ჩვენგანი ვატარებდით დღემდის, მხოლოდ გულის სიღრმეში, და არ გვქონდა შესაძლებლობა ამ ნაფიქრალთა ცხად ყოფისა და ურთიერთ შორის გაზიარებისა, აზრთა გაცვლა გამოცვლისა და საერთო გეგმის გამომუშავებისა, პრაქტიკულ საქმიანობის დაწყებისათვის.

გაზ. „მაკაბელი“ შეიქნება ალმასახველად ყველა ნაფიქრალის და ნააზრევისა საქართველოს ყველა ებრაელთა მოწინავე ელემენტთათვის, გზას მაჩვენებელი კომპასი და მნათობი ჩირაღდანი, ჩვენი საქართველოს ებრაელთა ბნელით და წყვდიადით მოცულ ცხოვრების გზაზედ.

ჩვენი ხალხის საქართველოს ებრაელთა ყოფა-ცხოვრება, მისი წარსულით, აწმყო და მომავლით მოითხოვს ყოველ მხრივ გამორკვევას, შესწავლას და გათვალისწინებას, ყოველი მომენტის და მოვლენათა შეფასებას და გაშუქებას, და აი სწორეთ ამ მხრით გაზეთი დგას თავის სიმაღლეზედ, ვინაიდან იგი არ არის ერთი ჯგუფის, ან ერთი წრის და მიმართულების აზრის გამომხატველი, არამედ კარები ღიაა ყველა პატიოსან და კეთილათ მოაზროვნეთათვის, ვისაც გული შესტკივა ჩვენ მოძმეთა ბედ იღბალზედ ამ მხრივ საინიციატივო ჯგუფს აქვს სწორი და ნამდვილი გეზი აღებული ჩვენი თანდროული ცხოვრებიდან, რისთვისაც თქვენ მადლობის ღირსი ხართ.

ამხანაგებო! თქვენ ბედნიერი ხართ, რომ წილათ გხვდათ თავდადება, შრომისა და ენერგიის დახარჯვა, რათა მიგეღწიათ ფრიად სიმპატიური მიზნის, ჩვენი გაზეთის „მაკაბელის“ გამოცემისათვის. გაზ. „მაკაბელი“ ნამდვილი სახეა მთელი საქართველოს ებრაელების, გამომხატველი მისი აზრებისა და ნებისყოფის.

გაზ. „მაკაბელის“ გამოცემით თქვენ მიეცით საშვალება საქართველოს ებრაელობას, გამოვიდეს ძველი კარჩაკეტილობის ატმოსფერიდან—ახალ და ნათელ საკაცობრიო ასპარეზზედ.

გაზ „მაკაბელის“ გამოცემით იწყება ახალი ხანა საქართველოს ებრაელთა ცხოვრებაში, [illegible] ცულ ცხოვრებას [illegible] ცხოველ-[illegible].

და რამდენადაც დიადია და მაღალი გაზეთ „მაკაბელის“ მიზნები და იდეალები საქ ებრაელთა მომავალ ცხოვრებისათვის, იმდენად დიდია და დაუფასებელი თქვენი შრომა და ღვაწლი ამ საქმისადმი, რასაც ალბად მომავალი არ დაივიწყებს.

თუ დღემდის თქვენ მარტო შესძელით ამ დიადი საქმის მთელი სიმძიმის გადატანა, აწი მაინც თქვენთან იქნებიან მთელი საქართველოს ებრაელთა მოწინავე ელემენტები და ისინიც თქვენთან ერთად ეცდებიან, რათა თანდათანობით ყოველი მხრივ უზრუნველჰყონ გაზ. „მაკაბელის“ არსებობა.

გისურვებთ ამხანაგებო მხნეობას, დაუშრეტელ ხალისს და სიყვარულს ამ დიადი საქმისადმი.

სალამი საქართველოს მშრომელ ებრაელობას!

სალამი საქ. ებრაელთა ინტელიგენციას!

გაუმარჯოს გაზ. „მაკაბელს“.

დ. აჯიაშვილი.

ბანძა. 4 მარტი
1924 წ.

—

### სალამი „მაკაბელს“.

წავიკითხე რა თქვენი გაზეთი „მაკაბელის“ პირველი ნომერი და გავეცანი რა მის მნიშვნელობას და თქვენს მიზანს, რაც გამოიხატება იმაში, რომ საქ. ებრაელობას დაანახოთ თავისი სახე, აამაღლოთ კულტურულად და ასწიოთ მისი ინტელექტუალური დონე--მსურს გითხრათ: დარწმუნებული იყავით, რომ საქართველოს ებრაელობა ეცდება გაამართლოს თქვენი იმედები. საქართველოს ებრაელობასთან ერთად ბანძის ებრაელების სახელით გისურვებთ ასეთი დიდი საქმის კეთილად დაგვირგვინებას. თქვენი შრომა დაუფასებელია ჩვენთვის და გწამდეთ ის არ დარჩება უშედეგოდ. მივესალმები თქვენს წმინდა მიზანს.

სალამი „მაკაბელს“.

მეირ ჯინჯიხაშვილი.

ბანძა 4 მარტი.

---

ში, მუდამ მსურდა თქვენთან მოსვლა, რჯულის გამოცვლა, მაგრამ ჩემი წყეული ბატონები, რომლებიც ფარულად ინახავდენ ისრაელების სარწმუნოებას, არ მაძლევდენ ამის საშუალებას. ახლა გთხოვთ მაპატიოთ ჩემი ცოდვები, მიმიღოთ თქვენს მფარველობის ქვეშ, გამომზარდოთ თქვენი სულით, რათა მეც ვიმუშაო შემდეგში ინკვიზიციის სასარგებლოდ. ამიერიდან ჩემი მიზანი მხოლოდ ესაა. მე არ მაწუხებს ფული, მე ის საკმაოდ მაქვს ჩემი ბატონის სახლისგან წამოღებული, რომლიდანაც ნახევარს ვსწირავ თქვენი წმინდა მამების საჭიროებას და დანარჩენით კი იმედი მაქვს, რომ მომავალში გავიტან და შევინახავ თავს.

ეს სიტყვები ისე გულწრფელად იყო ნათქვამი, რომ მამა იოანომ ფულის მიღების შემდეგ გადაკოცნა ახალგაზდა სტუმარი და ყოველგვირი დახმარება აღუთქვა:

— ამიერიდან შენ თავისუფალი ხარ ყოველი ცოდვისაგან. შენ დროზე მოასწარი შემობრუნება და ამიტომაც ასე მალე იშოვნე დიდი მფარველი. შენ მხოლოდ დამიჯერე მე და ყველაფერზე სიმართლით მიპასუხე. სად წავიდა დონნა როზა?

— არ ვიცი, ბატონო, მოუყარა თავი, რაც სიმდიდრე ჰქონდა და მგონი კასტილიისაკენ გაიპარა იმავ საღამოს.

— რითი გაიგო დონნა როზამ ეს მოსალოდნელი უბედურება, რომ მან მოასწრო გაპარვა?

— ჩვენ დროზე გაგვაფრთხილა მამა ანტონიომ.

— იცი, რომ მამა ანტონიო ისევ საპყრობილეში ზის?

— დიახ, მოძმემა, კიბეებზე ამოსვლის დროს თქვენი ხმამაღალი ლაპარაკი, რომლიდანაც შევიტყე მამა ანტონიოს დაპატიმრება. წავიდა თუ არა ქალბატონი—განაგრძობდა ჰუსეინი—მეც გამეხარდა, ვისარგებლე შემთხვევით, მივატოვე სახლი და გამოვწიე თქვენთან. ახლა კი სრული იმედი მაქვს, რომ თქვენ ამ განზრახვას განახორციელებთ, შეუწყობთ ამ დიად საქმეში ხელს და მფარველით დამეხმარებით.

— რასკვირელია, შვილო!.. აგერ შენ უკვე გიბრწყინავს სახე სიხარულით.

— რადგანაც ჩემი მიზანი წმინდაა და დიადი!—მიუგო ახალგაზდა სტუმარმა.

მამა იოანომ სადილად მიიწვია „შემობრუნებული მაჰმადიანი“, სადაც განაგრძობდენ ბაასს ჰუსეინის ბრწყინვალე მომავალზე, რომელიც მას მოელოდა, რაოგანაც მან თავის ძველი გზა ჰგმო და ამათ კალთებს შეაფარა თავი.

### X.

### მეტოქე.

განვლო რამოდენიმე თვემ.

დონ ალვარის მსახურის ჰუსეინისაგან უკვე დიდი გავლენიანი პირი შეიქნა. ის ახლა ცნობილი შეიქნა „მამა ამბროზიას“ სახელით; უწოდებდენ მას აგრეთვე „მწყალობელ ანგელოზს“. მისი სიტყვა რაღაც ფარული ზეგავლენის ქვეშ გადაიქცა კანონად, ჭეშმარიტებად. ყველა მას ემორჩილებოდა და თაყვანს სცემდა. ყველას უყვარდა ახალგაზდა მამა ამბროზია თავისი კეთილი გულისათვის. ის უხვად არიგებდა შეწირულებას ყველას შორის, გინდ ყოფილიყო ის დომინიკელი მღვდელი, გინდ ინკვიზიციის ჯაშუში და გინდ უბრალო დარაჯი ციხისა. ყველასთან პატივისცემა მიუძღოდა. თავის წრეში კაცი არ ჰყავდა დარჩენილი მოუმადლიერებელი. მამა იოანოს სასახელოდ მიაჩნდა მასთან ყოფნა, მასთან დროს ტარება, ბაასი და სეირნობა. მთელი დღის განმავლობაში სეირნობდა მასთან, ბჭობდა ათას საქმეებზე და ეკითხებოდა რჩევას საინკვიზიციო საგნებზე. მამა იოანომ დაათვალიერებინა ერეტიკოსების ციხის ადგილი, შემოატარა გარშემო და გააცნო ყველა დარაჯებს სათითოოდ.

ერთ დღეს მამა იოანო, ჩვეულებრივად, სეირნობდა ამ „მწყალობელ ანგელოზთან“. ჰუსეინმა თითქოს ცნობის მოყვარეობისთვის მოისურვა გაეგო თავისი ყოფილი ბატონის და მამა ანტონიოს ბედი. იოანომ მოკლედ გადასცა:

— ამ ერთი კვირის შემდეგ ლისაბონში გაიმართება დიდი დღესასწაული მეფის საპატივისცემოდ; მამა ანტონიო და დონ ალვარი თუ შეინანიებენ თავიანთ ცოდვებს, მეფე იქნება იმდენად სულგრძელი, რომ ამ დღის აღსანიშნავად აპატიებს მათ ამ ძველ ცოდვებს, ხოლო თუ არ შეინანიეს, ორივეს საჯაროდ დასწვავენ იმავე დღეს კოცონზე. უნდა გითხრა მამაო ამბროზია, რომ დონ ალვარი და მამა ანტონიო უკვე გამოტყდენ, რომ ისრაელები არიან. ჩვენ ისინი ცალცალკე გამოვიძახეთ რამოდენიმეჯერ, მაგრამ ორივე ადგიან თავიანთ ჯიუტობას: „მომავალში აღარ ვაპირობთ ძველი გზის მიტოვებას“—აი მათი პასუხი.

ჰუსეინს სახე გაუბრწყინდა; ამ დღიდან უფრო უხშირა თავის „უხვ“ საჩუქრებს და ყველას გულს იგებდა. მისმა კეთილმა გულმა ყველა მოინადირა, ყველა დაატყვევა და ყველა თავისკენ მიიზიდა. დღემდის თუ მამა იოანო ითვლებოდა კეთილ და მწყალობელ მამად, ახლა მას გაუჩნდა ნამდვილი მეტოქე ამ სიტყვის მნიშვნელობით, რომელმაც იოანოს დიდად დაუკარგა, ხოლო ჰუსეინს გაუდიდა სახელი. ამ მოვლენამ მამა იოანოს კი არ შეაძულა ჰუსეინი, პირიქით უფროც შეაყვარა...

მამა იოანოს უხაროდა, რომ ასეთი მეტოქე გაუჩნდა, რომელსაც კინაღამ შვილად სთვლიდა, რადგან ის შეიქნა მაგალითის მაჩვენებელი და მისი თვისებები კი იყო საუკეთესო იდეალი სამღვდელოებისა.

### XI.

### ერთგული მსახური.

შუადღის მზეს თავისი მწველი სხივები უხვად წარეგზავნა ყველგან და განსაკუთრებით ათბობდა იმ ეზოს, რომლის შუაგულში მოთავსებული იყო ციხე, სადაც დატუსაღებული იყვენ ერეტიკოსები.

ციხეში ფანჯარასთან ჩამომჯდარიყო დონ ალვარ როდრიგო და მწარე ფიქრებს გაეტაცნა. მისი თვალები ოდნავღა სჩანდენ იმ რკინის რიკულებიდან, რომელნიც მას ჩამოჰყარებოდენ. ოდესღაც მხიარულებით სავსე დონ ალვარის სახეს—დღეს მომაკვდავის ფერი ედო. თვალები ღრმად ჩასცვინოდა, თმა გაზრდოდა, სახეზე ყვითელი ფერი ედო და ტანადთაც შეწუხებულიყო. აგონდებოდა თავისი წარსული და გრძნობდა რა მწარე სინამდვილეს, დონ ალვარი თავის თავს ეკითხებოდა:

— რა არის დღეს დონ ალვარი? არაფერი, ტყის ნოშო, შემოდგომის ფოთოლი! იყო დრო, როცა დონ ალვარი მართლაც „ვინმეს“ წარმოად გენდა, დიახ ვინმეს! იმის სახელს ყოველი პორტუგალიელი მოწიწებით და პატივისცემით იხსენიებდა. იყო დრო, როცა მისი სახელი სჭექდა და ჰქუხდა მთელ პირენეის ნახევარკუნძულზე, იყო დრო, როცა მეფე უიმისოდ არას აკეთებდა, ყველაფერზე მას ეკითხებოდა რჩევას, დღეს კი...—ამ კითხვაზე მწარედ გაიცინა დონ ალვარს—დღეს აღარაფერი ვარ, ყოველი პორტუგალიელი ზიზღის თვალით მიყურებს, მეფეს აღარ ვახსოვვარ და მკვდარი ვარ ცოცხლად! აღარავის ახსოვს ჩემი არსებობა ამ ქვეყანაზე, მაგრამ არა! არსებობს კიდევ ისეთი ადამიანი, რომლისთვისაც ჩემი ხსენება ძვირფასია. ეს არის დონნა როზა. მაგრამ ვინ იცის სად არის ახლა დონნა როზა? შეიძლება ცოცხალიც აღარაა, ან შეიძლება ისიც გაება ინკვიზიციის საშინელ ქსელში?

ამ ფიქრებზე დონ ალვარი ტკივილებისაგან დაიკლაკნა და ღმერთს შესთხოვა, რომ არ გაემართლებინა მისი უსაფუძვლო შიში დონნა როზას შესახებ. ამის შემდეგ დონ ალვარი ღრმად ჩაუკვირდა თავის მომავალს და კვლავ თავის თავს შეეკითხა:

— რა დამემართება შემდეგში და რა იქნება ჩემი მომავალი?

დონ ალვარმა კარგად იცოდა, რომ თუ ის თავის ცოდვებს შეინანიებდა, მეფე სასჯელს აპატიებდა. მაგრამ არა! დონ ალვარს ახლა ერჩია სიკვდილი მამაპაპური სარწმუნოებისათვის, ვიდრე ეცოცხლა ტკბილად სხვა სარწმუნოების ნიღაბის ქვეშ.

და მან მიიღო ურყევი და მტკიცე გადაწყვეტილება:

— ყოველი ისრაელისათვის სანეტარო ის წამი, როცა „ეხადის“ თქმით კისერს მიუწვდის ჯალათს. ახლა, როდესაც ჩემი საიდუმლო გამომჟღავნებულია, არაფრის გულისათვის მე აღარ უარვყოფ მას და სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე ისრაელი დავრჩები. ვიცი და ვგრძნობ, რომ ერთ კვირაში მომელის საშინელი აუტო-და-ფე, მაგრამ ეს მხოლოდ სხეულისათვის არის საშინელება, სულისათვის კი უკვდავებაა...

ამ ფიქრებში რომ იყო, მის წინ გამოისეირნეს ხელიხელ ჩაკიდებულებმა მამა იოანომ და ჰუსეინმა. დონ ალვარს მოეჩვენა თითქოს ეს უკანასკნელი მას უღიმოდა და არც სცდებოდა! ჰუსეინმა მართლაც გაუღიმა დონ ალვარს, რომელმაც მრავალი რამ ამოიკითხა ამ ღიმილში, მაგრამ მისთვის საოცარ რამეს შეადგენდა ეს ამბავი: მისი მსახური ჰუსეინი და მისი მხსნელი!

რაღაც ვერ მოდიოდა ჭკუასთან. ჰუსეინს დონ ალვარი რამოდენიმე თვეა, რომ აქ ხედავდა და თავიდანვე ჰქონდა მიტანილი ეჭვი, რომ ჰუსეინი აქ უმიზნოდ არ იყო; ამ ერთ საათში ღიმილმა დონ ალვარი კვლავ დაარწმუნა ამაში. ეს ასე იყო! ახლა კი ცხადი იყო დონ ალვარისათვის, რომ ის ახალგაზრდა მწყალობელი მამა, რომელზედაც დარაჯები ლაპარაკობდენ, იყო მისი მსახური ჰუსეინი! წინედ, როცა მამა იოანო და ჰუსეინი პირველად სეირნობდენ ამ ბაღში, დონ ალვარს ძალიან ეინტერესებოდა გაეგო ვინ იყო ეს ახალგაზრდა ყმაწვილი, მაგრამ მის თვალებში ჩამქრალიყო შორსმხედველობის ცეცხლი და მის სახეს ვერ არჩევდა, მხლოდ ტანისამოსით იცნო დონ ალვარმა, რომ ეს ახალგაზრდა მღვდელი იყო მისი მსახური და ახლა კი, ამ წუთში, ეს აღარ შეადგენდა მისთვის საეჭოს. ახალგაზდა მღვდელი იყო მისი მსახური ჰუსეინი! მან მოახერხა ამ ცოტა ხნის განმავლობაში დიდი სიყვარულის დამსახურება ყველასთან და ყველა ეს—დონ ალვარისათვის; ცხადი იყო, რომ მხოლოდ მისთვის, მის გასანთავისუფლებლად!!!

დონ ალვარის გული აღივსო მეგობრობით და სიყვარულის გრძნობით ამ თავის მაჰმადიან მსახურისადმი და იმ წამში ფიცი დასდო, თუ კიდევ ეღირსებოდა მას მზის შუქის დანახვა, სიკეთით მიეზლო ჰუსეინისათვის...

შეღამდა. დონ ალვარმა ვერც კი შეამჩნია თავის ფიქრებში, რომ დღე მიიწურა. ციხეში ჯდომის შემდეგ მას დასჩემდა ერთი სენი: ეშინოდა დაღამებისა. ეგონა რომ ყოველი ღამე მას უმზადებდა სიკვდილს.

ახლაც ასეთი შიშით იყო შეპყრობილი, როდესაც რაღაც გაინძრა მის წინ. ის დარწმუნებული იყო, რომ სიკვდილი ადგა თავზე და ამიტომ დაიწყო ნატვრა, ნეტავ ჩქარა მოვრჩებოდეო; და უცბად კალთაში შეამჩნია რაღაც თეთრი საგანი, ხელი მოჰკიდა და მხიარულმა შესძახა:—ღმერთო ჩემო, ეს ქაღალდია, სწორედ, არ ვცდები. ეს იყო რომ გაფაჩუნდა, ფანჯრით შემოისროლა ვიღამაც!

გაშალა და ვერაფერი გაარკვია. დიდი ხნის ლოდინი დასჭირდა, ვიდრე მის ოთახში პატარა, მბჟუტავ სანათს შემოიტანდენ. ჩვეულებრივად, ამაღამაც გვიან შემოიტანეს. დარაჯის გასვლის შემდეგ, მან სანათის შუქზე შეამჩნია, რომ ის ქაღალდი იყო წერილი მის სახელზე. გახსნა და შემდეგი წაიკითხა:

„ჩემო ძვირფასო და საყვარელო ბატონო დონ ალვარ! ექვს თვეზე მეტია ამ წყეულების ბინაზე ვფათურობ და ათასი ხრიკებით და ოინებით ვფიქრობ როგორმე შენ შველას და გამოპარვას. შენს გარდა დატუსაღებულია მამა ანტონიო, რომელმაც წინდაწინ შეგვატყობინა შენი დაჭერა და გაგვაფრთხილა მომავლისათვის. დონნა როზას ჯავრი ნუ გაქვს, კარგ ადგილას არის ის დამალული. ამაღამ ნუ დაიძინებ, მზად იყავი, ყარაულებს ვათრობ მაგარი სასმელებით, კედელს გამოვანგრევთ და შენ და მამა ანტონიოსაც გამოგაპარებთ... მშვიდობით... შენი სიკვდილამდე ერთგული მსახური ჰუსეინ. ქ. ლისაბონი 1... წელს“.

დონ ალვარის სახე არ შეცვლილა, იმან მხოლოდ მოჰკოცნა წერილს, შეინახა ჯიბეში და მადლობის გრძნობით ალსავსემ ნელის ხმით წარმოსთქვა:

— აი ერთგული მსახური!

# პროვინციაში

**წერილი ქუთაისიდან** *)

ძვირფასო ამხანაგებო! ყველაფერს ვიფიქრებდი, ყოველ-გვარ არასასურველ მოვლენებზე შემეძლო შემეჩერებია ჩემი გონება, მაგრამ იმას კი ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთ წერილს მოგწერდით ამჟამად. ალბად წინასწარ თვითონაც მიხვდებით, რომ ყველაფერი „მაკაბეელის“ ირგვლივ სწარმოებს. მივიღეთ „მაკაბეელის“ № 2, რომელიც ძალზე მოგვეწონა, მაგრამ ამჟამად თქვენ ყურადღებას გადავიტან სხვა საკითხზე. მართალი ყოფილა: „მელას რაც ესიზმრებოდა ის ელანდებოდაო“ და ჩვენ ხახმებსაც ე. ი. სულიერ და „საერო“ მამებსაც ასევე ეპართებათ. რაშია საქმე, პირდაპირ არ ვიცი. დღეს ჩვენი ბრძოლის დღე იყო. არ ვიცი რატომღაც ფიზიკური შეურაცხყოფა არ მოუყენებიათ ჩვენთვის ამ საშინელ ინკვიზიტორებს და მათ დამქაშებს, თორემ არაფერი არ დაუკლიათ. ჩემზე ადრე ამხ. ა. გამოსულა ქუჩაში და დასევიან მას: გაბაიები, ხახმები, „მოთავეები“ (როგორც უწოდებენ თავიანთ თავს) ბრბო და კინაღამ ტვინი ამოსჭამეს ათასგვარი თავდასხმებით და ცილისწამებით. ჭორები დილიდანვე გავრცელებულა ბალში. **მიხაკო დავითიაშვილს** დღეს თურმე ჭკუაზე შერყევას ბევრი არაფერი დაჰკლებია. საშინლად გაბრაზებულა და უცებ ბალში ყოფნის დროს ხმები გაუვრცელებია: „არიქა, მეორე ნომერი გამოსულა და ჩვენი საწინააღმდეგო წერილებით არის სავსეო“ და სხვა ასეთები.. აქედან მისი გაძლიერებული კამპანია დანაწილებულა, თითქმის შემოუვლია მთელი ქალაქი და „სალამოსთვის“ ნიადაგი მოუმზადებიათ. „აღელვებული“ და თვალებ ახვეული მასსები შეჰყრობილნი ჭორისა და პროვოკაციის სულით დაგვხვდენ სალოცავის ეზოში. საქმე იმაშია, რომ თვით ატმოსფერის მომწამვლელი „გმირი“, მისი სულის ჩამდგმელი და მამამთავარი წინააღმდეგ ჩვეულებისა „იქ“ ველარ ვნახეთ. უთუოდ განგებ არ მოვიდა. რა უნდა გვექნა ჩვენ? ისევ ვარჩიეთ შემარიგებელი ხაზის აღება, არგაგონილს და წარმოუდგენელ ჭორებს გვახვევდენ თავზე. თუ კი სადმე მიაღწევდა ჩვენი სუსტი ხმა, სათანადო პასუხის გაცემის შემდეგ ყველას ვაკმაყოფილებდით. იყო ათასგვარი ჯგუფები ჩვენს ირგვლივ. ხალხი დიდ ინტერეს იჩენდა ჩვენი საქმისადმი და არაჩვეულებრივი სიმპატიით გვეპყრობოდა; თუმცა ასეთი ხანდახან, დრო გამოშვებით სწყდებოდა ბნელი ძალების ზეგავლენით, მაგრამ მაინც გავიმარჯვეთ, ვინაიდან ყველას პირისგან, ერთსა და იმავე დროს მივიღეთ, ძალით თუ ნებით, საკუთარი თუ მასსების ნაკარნახევი აზრებით ერთსულოვანი წინადადება: „მობრძანდით ჩვენთან თავისუფალ დროს, აგვიხსენით, გაგვიმარტეთ რას ნიშნავს თქვენი „მაკაბეელი“, რა მიზნები აქვს დასახული, რა დამოკიდებულება ექნება ჩვენს სარწმუნოებასთან, ხახმებთან, ლოცვებთან, თალმუდ-თორებთან და სხვა“... მაგრამ საქმეც იმაშია, რომ „გეგემონი“ ჩვენში არსებულ სიწყვდიადის უკანასკნელ ნაშთისა ასეთ მშვიდობიან „მოლაპარაკებაზე“ არ დათანხმდება და იგი ჩვეულებრივად, „გმირულად“ უარჰყოფს მას, ვინაიდან მას „ჩვენი“ არაფერი სწამს და ჩვენთან, **ბავშებთან**, ლაპარაკისათვის არც სცალია!!! საქმე ასე იოლად არ გაკეთდება და მაშასადამე ბრძოლაა საჭირო. უეჭველია იკითხავთ: რა არ მოსწონთ ან რამ შეაძრწოლათ! გიპასუხებთ, რომ ყველაფერმა. თვით ის ფაქტი, რომ მზის სანათლეზე არსებობს კულტურის მოციქული ორგანო და მასში მონაწილეობენ ეს „ინტელიგენტები“ ეს „სტუდენტები“—არის მათთვის ძილის დამფრთხობი. ერთის სიტყვით ჩვენ ვსცდებოდით, როცა მათზე არაფერს ვწერდით, ვსდუმდით კიდეც უეჭველად „მაკაბეელის“ ფურცლებზე საჭიროა დიდი ბრძოლა. დეე, ყველანი ავმოძრავდეთ, ყველამ გავანძრიოთ ხელი ამ ბნელეთის მოციქულების წინააღმდეგ. არავითარი დათმობა არ გამოდგება. ძალას ძალა დაუპირდაპიროთ, მეტი გზა არაა.

აქაური ბნელი ძალების გამოსვლა გულს არ გვიტეხს, ეს ოდნავაც კი ვერ შეუშლის ხელს მომავალში ჩვენ დიად საქმეს. მაშ ასე, გავსწიოთ წინ, მედგრად, შეუპოვრად და გადავლახოთ გმირულად—ჩვენი თუმცა მცირე მაგრამ ენერგიით და იმედით ალსავსე ამხანაგებთან ერთად—ყოველგვარი დაბრკოლებანი.

**მეგობარი.**

*) ეს პირადი წერილი რედაქციისადმი იბეჭდება უცვლელად, რათა ჩვენი მკითხველები გაეცნონ ზოგიერთ „ბნელი ძალების“ მოღვაწეობას. ამის შესახებ ჩვენ საკუთარ აზრს გამოვსთქვამთ შემდეგ ნომერში.

რედაქცია.

[illegible] ეე კრიტიკის ცეცხლში ტარდებოდა. ამითი რაღაც სიცოცხლე ეჩნევოდა ჩვენ საზოგადოებას. ამ ხანებში სუჯუნაში არსებობდა დაბის ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სადაც ხშირად შეხვდებოდით მეტად სერიოზულ წიგნებს. მოდიოდა აგრეთვე ყველა ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც საქართველოში გამოდიოდა. აგრეთვე მოგვდიოდა რუსეთის ჟურნალ-გაზეთები. სუჯუნაში არსებობდა სკოლაც, რომელშიაც სხვებთან ერთად სწავლობდნენ მეტად მნიშვნელოვანი რიცხვი ებრაელთა ბავშებისა.

ერთადერთი დაბის ბიბლიოთეკა, რომელიც ჩვენში არსებობდა, დიდი ხანია დაკეტილია და მისი შენობაც თითქმის სულ დანგრეულია. ეს მეტად სამწუხარო მოვლენაა ჩვენთვის, ვინაიდან უკვე აღარავითარი საშუალება გააჩნია ადამიანს თავის აზრი გაართოს და ცოტაოდენი სულიერი საკვები ჰპოვოს. სკოლა ჩვენში კიდევ არსებობს, მხოლოდ აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ დღეს ამ სკოლაში ძალიან მცირეა ებრაელ ბავშვების რიცხვი. მეტად შევიწროებული მატერიალური მდგომარეობა მშობლებს უფლებას არ აძლევს თავიანთი ბავშვები სკოლაში შეიყვანონ. ბავშვებს ისინი იყენებენ სამუშაოზე ასე რომ ჩვენ ბავშვებს ამ მხრივ დიდი საფრთხე მოელის. საჭიროა მეტად სერიოზული ყურადღება მიექცეს ამ საკითხს. დიდ სიხარულს გამოიწვევდა ჩვენში, რომ ებრაული ეროვნული სკოლა გახსნილიყო იმ სახით, როგორც ტფილისში 102-რე შრომის სკოლა. საბჭოთა შრომის [illegible]

უკანასკნელ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ეკონომიური გაჭირვება უმაღლეს წერტილამდის აღწევს.

სამწუხაროდ ლაილაშის ებრაელობა, როგორც სხვა დანარჩენი ჩვენი მოძმენი საქართველოში—არ არის შეჩვეული მეურნეობით ცხოვრებას, ხოლო ჩვეულებრივ ვაჭრობას უკვე აღარ აქვს გასავალი, რადგანაც ცხოვრების პირობები შეიცვალა და ამგვარად ჩვენ ვცვივდებით მეტად დიდ გასაჭირში. რომ უბედურება ავიცდინოთ საჭიროა დიდი კულტურული მუშაობა, რომელსაც ჩვენდა სამწუხაროდ დიდად ჩამორჩენილი ვართ.

ჩვენი უნუგეშო და უმწეო გულის ტკივილი მით უფრო მწვავდება, რომ ჩვენ მომავალ თაობას ვერ უწევთ სათანადო მზრუნველობას. არავინ ჰფიქრობს, რომ ჩვენი მოზარდი თაობა-ჩვენი ახალგაზდობა აღიზარდოს თანამედროვე ცხოვრებისა და პირობების შესაფერად.

ამგვარ უნუგეშო მწუხარებაში მყოფმა ლაილაშის ებრაელობამ შემთხვევით წავიკითხეთ ჩვენთვის მეტად ძვირფასი გაზეთი „მაკაბეელი“, რომელიც ეხება მთლიანად საქართველოს ებრაელთა ყოფაცხოვრებას და აშუქებს მათ მდგომარეობას. ჩვენ მოვითხოვთ „მაკაბეელის“ საშუალებით, რომ უწინარეს „ყოვლისა მიექცეს საჭირო ყურადღება ჩვენს ბავშვებს, რომელთა დატოვება სასწავლებლის გარეშე უქადით მათ დამღუპველ მომავალს. ბავშვები უნდა აღვზარდოთ აუცილებლად ისე, რომ მათ მაინც ავაცდინოთ ისეთი მდგომარეობა, რომელშიც ვიმყოფებით ჩვენ, მშობლები.

ჩვენ გამოვსთქვამთ ჩვენ ღრმა რწმენას, რომ „მაკაბეელის“ საშუალებით მთელი საქართველოს ებრაელობა და მათში ლაილაშისაც, თავს დააღწევს იმ უმწეო და უნუგეშო ეკონომიურ მდგომარეობას, რომელშიდაც ის იმყოფება დღეს.

ეკონომიური დაბეჩავების მთავარი მიზეზი კი,—არის კულტურული ჩამორჩენილობა, რომელიც გამეფებულია ჩვენს ცხოვრებაში და რისთვისაც საჭიროა უდრეკი ენერგიით ბრძოლა და წინსვლა უკეთესი მომავლისაკენ.

**ლაილაშელი.**

—

**სურამი.** სურამის ებრაელობამ აღძრა შუამდგომლობა ცენტრალურ მთავრობასთან, რომ სურამის ებრაელთა ბავშვებისათვის გაიხსნას შრომის სკოლა ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მთავრობა, რომელიც ასეთ დიდ ყურადღებას აქცევს სწავლა განათლების საკითხს—მოგვაქცევს ჩვენც ყურადღებას და მალე გახსნის სურამში ჩვენი ბავშვებისთვის შრომის სკოლას, სადაც ისწავლიან ორასამდე ჩვენი ბავშვები, რომლებიც დღეს დამდგარან გადაგვარების გზაზე და თუ ეს ასე გაგრძელდა სულ მოკლე ხანში ისინი ისე გამოიცვლებიან, რომ აღარ ექნებათ სახე არც ებრაელების და არც ადამიანების. დღეს დღეობით ჩვენი მოზარდი თაობის პროფესია ვერ გასცილებია თავიანთ წინაპართა წყეულ ჩარჩობას და [illegible] კი საბჭოთა მთავრობის დროს, [illegible], რომ [illegible] მოხდეს გარდაქმნა და ჩვენ მომავალს—მოზარდ თაობას მაინც ვუჩვენოთ სწორი გზა.

გ.

## „მაკაბეელის“ ფონდი.

რედაქციამ მიიღო შემოწირულებანი შემდეგი პირებისაგან:

| | | |
|---|---|---|
| 1. | იაკობ დავარაშვილი | 10 მან. |
| 2. | არონ ბუზუკაშვილი | 10 „ |
| 3. | თამარა ელიაშვილისა | 5 „ |
| 4. | არონ დანიელოვი | 5 „ |
| 5. | ისხაკ ბინიაშვილი | 5 „ |
| 6. | აბნერ მამისთვალოვი | 5 „ |
| 7. | იაკობ ბახანოვი | 5 „ |
| 8. | შალომ მეხტიევი | 5 „ |
| 9. | მიშაელ კრიხელი | 3 „ |
| 10. | იეხიზკიელ ჯინჯიხაშვილი | 3 „ |
| 11. | სიმონ ატანელოვი | 3 „ |
| 12. | ილია მოძღვრიშვილი | 3 „ |
| 13. | მოშე დავარაშვილი | 3 „ |
| 14. | ვარდო ბერიძე | 3 „ |
| | ს უ ლ | 68 მან. |

შემომწირველთ რედაქცია ულრმეს მადლობას უცხადებს.

**სარედაქციო კოლეგია.**

მიიღება ხელის მოწერა ორკვ რეულ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ გაზეთ

„მაკაბეელ“-ზე

გაზეთი ისახავს მიზნად საქართველოს ებრაელთა კულტურულად ამაღლებას, სწავლა-განათლების გავრცელებას და აქეთკენ იქნება მისი გეზი მიმართული.

გაზეთში იქნება მოთავსებული წერილები შემდეგი დარგიდან:

**ლიტერატურა:** ლექსები, მოთხრობები და პიესები (ებრაული შინაარსისა) როგორც ორიგინალური (უმთავრესად საქართველოს ებრაელთა ცხოვრებიდან) ისე თარგმნები. წერილები ებრაულ ისტორიისა, ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

**პუბლიცისტიკა.** წერილები ებრაელი ერის და განსაკუთრებით საქართველოს ებრაელთა სოციალურ ეკონომიური და კულტურულ მდგომარეობის შესახებ. კორესპონდენციები და ცნობები ებრაელთა ცხოვრებიდან, როგორც საქართველოში ისე მთელ მსოფლიოში.

**გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ებრაელთა ისე არა ებრაელი ლიტერატურული ძალებიც.**

გაზეთი ღირს ერთი წლით . . 2 მ. 40 კ. ჩერვ.
6 თვით . 1 „ 20 „ „
3 თვით . . 60 „ „

ხელისმოწერა მიიღება ყოველდღე დილით 9—12 საათამდე (გარდა შაბათისა და დღესასწაულებისა.)

მასალების გამოგზავნა და ხელის მოწერაც შემდეგი დროებითი მისამართით: ქ. ტფილისი, იერუსალიმის ქუჩა, ლვინის, შესახვევი № 7 ნ. ელიაშვილს.

XII.

**თავგანწირული სიყვარული.**

სწორედ იმ დროს, როცა მამა იოანო და ჰუსეინი ბალში სეირნობდენ და უვლიდენ ციხეს გარშემო, მამა ბრენარდო იჯდა თავის სახლში და მოწყენით სადილობდა. მას შემდეგ, რაც მან მამა ანტონიო საპყრობილეში შეაგდებინა, ველარავინ ნახა „საეჭვო პირი“ და მას გულს უკლავდა უმოქმედობა, ტყუილად ყოფნა და „ცუდაობა“. როგორც გამძვინვარებული მხეცი მას შემდეგ ყოველდღე დაცოოდა „სანადიროდ“, მაგრამ ტყუილად ეძებდა „ნადირს“: ვერსად ხვდებოდა. თუმცა ამ ექვსი თვის განმავლობაში მან უკვე მიიტანა ერთ პირზე ეჭვი, მაგრამ მამა იოანოს ვერ უცხადებდა შიშით, რადგან თვით მამა იოანო იყო მისი მფარველი და თავის შვილად სთვლიდა.

მამა ბრენარდომ ფანჯრიდან დაინახა, რომ ბალში სეირნობდენ მამა იოანო და ახალგაზრდა სტუმარი—ოდესღაც მსახური დონ ალვარისა, მიატოვა საჭმელი და აივანზე გამოვიდა. დიდხანს უცქირა ჰუსეინს და ყოველ მის მოძრაობას და ამ ცქერას მისთვის უშედეგოდ არ ჩაუვლია. მან შეამჩნია ის ღიმილი ჰუსეინისა, რომელიც მიმართული იყო ფანჯარასთან მჯდარი ტუსაღის დონ ალვარისადმი.

— აჰა, დავიჭირე, დავიჭირე! ჩემი ეჭვები ხორცს ისხამენ—მხიარულად წამოიძახა მამა ბრენარდომ და განაგრძო—ჰუსეინი ის ჰუსეინი აღარაა, რომელიც ვნახე დონ ალვარისას. თვალი კარგად მიჭრის. მის სახეზე დაპფრინავენ სილამაზე და სათნოება. ჰუსეინი ასეთი არ ყოფილა!. მაგრამ დეე გაიაროს კიდევ რამოდენიმე დღემ, რათა მეტი სიმტკიცე მიიღოს ჩემმა ეჭვმა.

განვლო ორმა საათმა. ჰუსეინისაგან მამა ბრენარდომ პატარა ბარათი მიიღო, სადაც სთხოვდა მას, რომ აუცილებლად მისულიყო მის მიერ გაკეთებულ ლხინზე. რასაკვირველია მამა ბრენარდო აღარ შემდგარა და წავიდა. შესვლისას თვალი მოჰკრა, რომ მასპინძლის ოთახში მის გარდა მიწვეული იყვნენ მთელი ნაცნობი მღვდლები, ჯაშუშები და ყველა ციხის დარაჯები. უკანასკნელების მოწვევა რაღაც არაფრად ეპიტნავა მამა ბრენარდოს და ტუჩებზე იკვნიტა, მაგრამ თავი შეიკავა.

გაჩაღდა ლხინი და ქეიფი. მწყალობელი ანგელოზი „მამა ამბროზიად“ წოდებული, ყველას უზომოდ აძალებდა სასმელებს და განსაკუთრებით ციხის დარაჯებს. მამა ბრენარდოს ფხიზელ თვალს არც ეს მოვლენა გამორჩა შეუნიშნავი. თუმცა ჰუსეინი ამასაც აძალებდა სასმელებს, მაგრამ მამა ბრენადო ძალიან ზომით სვამდა: სასმელს მიიტანდა ტუჩებთან და ისევ მაგიდაზე აბრუნებდა სავსეს. სამაგიეროდ აამოძრავა მზვერავის მხედველობა და ტყვიის მფრქვეველი თვალებით დაუწყო ცქერა და დაკვირება ჰუსეინს. მამა ბრენარდოს ორი ისარი საგრძნობი გამოდგა: ჰუსეინი გრძნობდა, რომ მამა ბრენარდოს მწვავი თვალები მას უმზერდენ, ვეღარ გაუსწორა თვალი და მოარიდა.

ამ თვალის მორიდებამ დიდი საიდუმლო შეატყობინა მამა ბრენარდოს, მისთვის უკვე აღარ არსებობდა ეჭვი, მიეცა ღრმა ფიქრებს, მოიგონა ის ღამე, რომელიც მან ათია დონ ალვარისას მთელი თავისი წვრილმანებით და ერთხელ კიდევ გადახედა ჰუსეინს...

უკვე შეღამებული იყო, როცა ლხინი დაასრულეს. ყველა სტუმრები გამონაკლის მამა ბრენარდოსი საშინლად იყვნენ დამთვრალნი, აღარაფერი გაეგებოდათ და ბარბაცით გაემართენ თავიანთ ბინებზე, სადაც მათ მკვდრებივით მიეძინათ. ციხის დარაჯებიც რიცხვით ხუთამდე თუმცა მივიდენ თავიანთ დანიშნულ ადგილას მოვალეობის ასასრულებლად, მაგრამ მათ იქვე თავები ჩასწიეს, ამოუშვეს ძლიერი ხვრინვა და მაგრად ჩაეძინათ. მამა ბრენარდო მივიდა ჰუსეინთან, გადაუხადა მადლობა, გამოესალმა და ისე აჩვენა თავი თითქოს ძალიან მთვრალი ყოფილიყოს და მისი სიტყვით მეტად ეძინებოდეს...

ჰუსეინის სტუმრებს მკვდრებივით ეძინათ თავიანთ ბინებზე. მღვიძარე იყო მათგან მხოლოდ მამა ბრენარდო, რომელიც თავის ფანჯრიდან უთვალთვალებდა ჰუსეინს და ციხის გარშემო ბალს. კარგად შეღამებისას მამა ბრენარდომ შეამჩნია, რომ ჰუსეინმა დონ ალვარს შეუგდო წერილი ციხეში. შეამჩნია და სიხარულით ტაში ტაშს შემოჰკრა. გაჰქრა მისგან ყოველი ეჭვი: ცხვარი კიდევ გაება მის მახეში! მან გადასწყვიტა მამა იოანოსთვის არ ეცნობებინა ეს ამბავი და დამოუკიდებლად ემოქმედნა. იმავ წუთში მიიწვია თავის სახლში მისთვის თავდადებული და უერთგულესი ხუთი ჯაშუში. მან ახედდახედა ყველას, გაუსწორა მათ თვალი და უცნაური კილოთი შეეკითხა:

— მზად ხართ ჩემი ბრძანება შეასრულოთ?

— მზად ვართ—ერთსულოვნად უპასუხეს ყველამ.

— მაშ კარგი. წადით ახლავე სახლებში, შეიარაღდით და ამ წამშივე ჩემთან დაბრუნდით. ჩვენ ეს ღამე უნდა გავათენოთ.

ჯაშუშებმა იცოდენ როგორ გამოცდილ ინკვიზიტორთან ჰქონდათ საქმე, ალბად ყოველ წამს დაფასება უნდოდა, არაფერს შეკითხვიან და იქავ გაეშურენ სახლებში შესაიარაღებლად კიდევ რამოდენიმე წამი და მამა ბრენარდო ხუთი შეიარაღებული ჯაშუშით თავის ოთახიდან ფრთხილად ათვალიერებდა ციხის ბალში ყოველგვარ მოძრაობას.

წამები და წუთები გარბოდენ, მათ საათებიც მისდევდენ, მაგრამ ეზოში გამეფებული დუმილის არავითარი დამრღვევი ნიშნები არ სჩანდა. შუაღამეს გადაცილებული იყო, მაგრამ ექვსი ადამიანი მაინც სულ განაბულნი განაგრძნობდენ დაზვერვას და ყოველ უბრალო გაშრიალებას გულმოდგინებით უგდებდენ ყურს. დიდხანს ითმინეს კიდევ ჯაშუშებმა, მაგრამ მალე მოსწყინდათ ასე ტყუილად ყოფნა და უძილობა, დაიწყეს ჩათვლემა და მამა ბრენარდომაც, როცა შეატყო, რომ მალე გათენდებოდა და ბალის, ეზოშიაც არაფერი ხდებოდა საეჭვო, ნება დართო ჯაშუშებს მისსავე სახლში დაეძინათ.

თვითონ მამა ბრენარდო კი შევიდა საკუთარ ოთახში და ათასგვარ ფიქრებმა გაიტაცეს. გულზე ვიღაც ჰკბენდა, საშინელი ზღვის გუბე იდგა მის არსებაში, რაღაც აწვა ლოდივით, ის რაღაცას მოელოდა უსათუოდ ამაღამ და თავს ნებას არ აძლევდა ძილისას. თითქოს რაღაც წინასწარი გრძნობა შეიპარა მის არსებაში და აურია მას ტვინი. რამოდენიმეჯერ გამოვიდა ოთახიდან, გაისეირნა ბალის პირდაპირ, მაგრამ მაინც არავინ იყო და არავინ! კიდევ ნახევარი საათი იცადა მამა ბრენარდომ და მასაც დაეკარგა მოთმინება და იმასაც თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც ჩასთვლიმა...

— — — — — —

სწორედ ამ დროს ციხის ეზოსკენ ფეხ აკრეფით მოიპარებოდა ჰუსეინი და ხელში კედლის გამოსანგრევი იარაღი მოჰქონდა. ჰუსეინმა გადახედა ციხის ყარაულებს და გულზე დამშვიდებული დარჩა: ყველას მაგრად ეძინათ! შემდეგ მან თვალი შემოავლო გარშემო არემარეს და რა დარწმუნდა, რომ არავინ იყო, ნელი ნაბიჯით მიიპარა კედელთან და დაიწყო თავის საქმე. როცა ერთი ქვა გამოიღო კედლიდან, მაშინ ადვილი შეიქნა მისთვის მეორე ქვის გამოღებაც, მესამის და ასე შემდეგ. გამოიღო იმ სიფართოვეზე, რომ ის შეეტია ამ გამოღებულ კედელში და შევიდა ოთახში. ოთახში სანათი კიდევ ანათებდა. ჰუსეინმა შეამჩნია, რომ ოთახში ღრმად ეძინა მამა ანტონიოს, რომელიც გაალვიძა და ტუჩებზე ხელი მიაფარა, რათა ხმა არ ამოეღო.

— აბა ჩქარა გამომყევ, მომეხმარე, დონ ალვარის კედელიც გამოვანგრიოთ და ყველა ჩაშველი იქნებით. მთვარიანი ღამეა და შეგვამჩნევენ.

— ვინ ხარ, ზეციერო არსებავ, ჩვენო მშველელო?

— სსს... ლაპარაკის დრო არ არის ახლა, შემდეგ, შემდეგ თუ ღმერთი შეგვეწია.

ამ ხმამ თითქოს ძველად გაგონილმა მკურნალ მალამოსავით დაიარა მის მოხუცებულ სხეულზე, რომელსაც კარგად ეტყობოდა ტკივილებისაგან იარები. ნაძალადევი იმედით ძლივს წამოდგა და უსიტყვოდ გაჰყვა ჰუსეინს. ჰათ იწყეს ფრთხილათ მუშაობა; დონ ალვარი მეორე მხარეს იყო დატუსაღებული და მისი კედელი უფრო მაგარი აღმოჩნდა, მაგრამ მალე ესეც გამონგრეული იქნა.

— დონ ალვარ, მოემზადე! — შესძახა მამა ანტონიომ.

დონ ალვარი მზად იყო და ელოდა ამ წუთს, სასწრაფოდ წამოდგა და დააპირა გამოსვლა განგრეული კედლიდან. როგორც კი გამოვიდა, იმავე წუთში განგრეულ კედლის მიწა ჩამოსცვივდა და ზევიდან ისეთი ქვა ჩამოჰყვა, რომელიც მიწას დაეჯახა, რომ მისი ხმა ზარბაზნის ხმას ჰგავდა.

ყველას თავზარი დაეცათ. ყველანი გრძნობდნენ, რომ ამ ქვას შეეძლო მათი საიდუმლოს გაცემა და იმის მაგივრად, რომ წინ წაედგათ რამოდენიმე ნაბიჯი, ყველანი უსიტყვოდ გაშეშდენ. რაღაც ინსტიქტის ძალით ერთ ადგილს დაეკვრენ და ნაბიჯის გადადგმაზე აღარ ჰფიქრობდნენ, ვერ გამორკვეულიყვნენ!...

სწორედ ამ დროს მეორედ დაირღვა ღამის მეუდროება და ჰაერში გაისმა სროლის ხმა, რომელსაც მოჰყვა ბოხი და მძლავრი ხმით მამა ბრენარდოს ბრძანება:

— შეჩერდით წყეულებო!

და იმავ წუთში ბალის ეზოში შემოსცვივდენ მამა ბრენარდოს მეთაურობით შეიარაღებული ჯაშუშები. მამა ბრენარდომ ჰუსეინს ხელი წაავლო და შესძახა:

— გიცანი წყეულის კერძო, ახლა სადღა წაგვიხკალ?—და მიუბრუნდა ჯაშუშებს—შეიპყარით!

მაგრამ ამ დროს ჰუსეინის ხელში გაიელვა ფარულმა ხანჯალმა.

— სამაგიეროდ, არც შენ დაგეყრება ხეირი—და ამ სიტყვებით ჰუსეინმა ხანჯალი მარჯვედ ჩაასო მამა ბრენარდოს მკერდში, რომელიც იქვე წაიქცა.

—ახლო? ასრულდა თუ არა ის სიტყვა ჩემი სახლის დაწვის შემდეგ რომ დაგძახე: „გეშინოდეს მამა ბრენარდო“.. მოკვდი ღვთისაგან დაწყევლილო!

კვლავ სიჩუმე, წინანდელი სიჩუმე. ჯაშუშები მათი მეთაურის მოულოდნელი დაცემისაგან ხმას ვერ იღებდენ. მათი მეთაურის მკვლელის ხელში ისე პრიალობდა ხანჯალი, რომ მიუხედავად თავიანთი სიმრავლისა ვერ მიებედნათ მისვლა. ესენი იცნობდენ ამ „მწყალობელ ანგელოზს“ და ვერ წარმოედგინათ თუ ეს კეთილი, ახალგაზრდა მამა, წყნარი, ლამაზი და ანგელოზური სახით ასე უცბად მამა ბრენარდოს ჯალათად გადაიქცეოდა!

მაგრამ ამ დროს მამა ბრენარდომ უკანასკნელად თავი წამოჰყო და წარმოსთქვა მძიმედ:

— ჩემს სიცოცხლეში .. ვერავინ მაჯობა... ყველგან.. ლომი ვიყავი... და ახლა კი... დავმარცხდი და... ვკვდები... ისიც ურწმუნო... ქალის ხელით..

კიდევ რაღაც სურდა ეთქვა, რადგან თავის ჯაშუშებისაკენ მიიბრუნა პირი (ალბად უკვირდა მათი გაშტერება), მაგრამ ძალამ უმტყუნა, დაეცა მიწაზე.. კიდევ ერთი განძრევა, ერთი ამოხვნეშა და ის აღარ იყო..

დონ ალვარი და მამა ანტონიო ქანდაკებებსა ჰგავდნენ. სიჩუმე ისევ „ჰუსეინმა“ დაარღვია, რომელიც მიუახლოვდა დონ ალვარს, გადაეხვია და შესძახა:

— ალვარ!

— რ ო ზ ა!!!—შეჰკივლა დონ ალვარმა.

— მაშ მიცანი?—და ამ სიტყვებით ხელი მოაშორა—ჩემი სიყმაწვილის წმინდა და დიადი მიზანი—შურისძიება—უკვე ავისრულე და ახლა აღარაფერი მიშავს, შენთან სიკვდილიც ბედნიერებაა!

მამა ანტონიომ, რომელსაც სიზმარში ეგონა თავი, ძლივს ამოიდგა ენა და წამოილუღლუღა:

— ღმერთო ჩემო, ჰუსეინის ტანისამოსით ჩვენი მშველელი დონნა როზა!

ამ ამბის გაგონებაზე ჯაშუშები მთლად გაფითრდნენ და სირცხვილისაგან იწოდენ, რომ მათი მებრძოლი გამოდგა ქალი. დონნა როზამ გამოიყვანა ისინი ამ უხერხული მდგომარეობიდან: გადაისროლა ხანჯალი. ხმაურობაზე გაჰღვიძებოდათ ციხის დარაჯებს და შემოვარდენ მგლებივით. აქ მყოფი ჯაშუშებიც მოვიდენ გონზე, შეიპყრეს სამივე და ციხის სხვა და სხვა ოთახებში მოათავსეს.

* * *

გათენდა.

მზემ თავისი სხივები მოჰფინა არემარეს. მაგრამ დღევანდელი მზე, დღევანდელი დღე და ყოველი წვეთი სინათლის შუქისა მწარე შხამად გადაჰქცეოდათ ლისაბონელებს. სრულიად დამშვიდებული იყვნენ მხოლოდ სამი ადამიანი, რომლებიც ატარებდენ საერთო სახელს: „ერეტიკოსები“.

დონნა როზამ აღისრულა დიდიხნის მიზანი და ბედნიერად სთვლიდა თავის თავს; მამა ანტონიო გაოცებული იყო ქალის გმირობით, ხოლო ალვარ როდრიგოს არაფერი ახსოვდა გარდა თავისი ზეციური არსებისა და მისი თავგანწირული სიყვარულისა.

**გერცელ ბააზოვ[ი]**

(დასასრული იქნება)

სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, საშა წულუკიძის ქუჩა, № 4.

ნებადართულია ლიტერატურის და გამომცემლობის მთავ. მართველობის მიერ № 11[illegible]